პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 230 (19671) ◆ კვირა, 5 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ჩვენი ცხოვრების მუდმივი მეგზური

ეუქი სულისა — ასე სატოვნად დაახასიათა მასწავლებელი პოეტმა, და ეს მშვენიერი ლექსი-სიმღერა შექმნისთანავე ყველამ გავითავისეთ, ვინაიდან ჩვენი პირველი მასწავლებელი და ისინიც, ვინც შემდგომ განსაკუთრებული კვალი დააჩნია ჩვენს ცხოვრებას, მართლაც სულში, გულსა და გონებაში ჩაგვრჩნენ და ადამიანურობის, სიკეთის ეტალონად იქცნენ.

მასწავლებელი ჩვენი მეგზურია სიყმაწვილიდან მთელი ცხოვრების მანძილზე. გაუხუნარი და ნარუშლელია მისი სატება.

რამდენნი არიან ახლა ისინი, ბევრნი, ძალზე ბევრნი, სულის ერთოლვით ახლა ჩვენი შვილები რომ მივანდეთ და მივაბარეთ. მასწავლებლები მათ მარტო საგნებს კი არა, მამულის სიყვარულს, ხამშობლოსათვის, ხალხისათვის თავდადებასა და ერთგულებას, შრომის სიყვარულს ასწავლიან, მათში კეთილ თვსლს აღვივებენ, ადამიანურობის დიდ და მარტივ საიდუმლოს აზიარებენ.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე დიდმა ლენინმა მასწავლებლობას უწოდა სოციალისტური განათლების მთავარი ორმია და მოუწოდა მას თავისი საქმიანობა დაეკავშირებინა პარტიასთან, მის იდეებთან.

სოციალისტური შშენებლობის ყველა ეტაპზე საბჭოთა მასწავლებლობა განუხრელად მიჰყვებოდა და მიჰყვება დიდი ბელადის ამ ანდერძს. იგი არის კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრება-განმტკიცებაში, ქვეყნის ალაგაზრდა თაობის აღზრდასა და განათლებაში.

ასათუოად უნდა მოვუაროთ და აქტიურად გამოვიყენოთ პედაგოგთა ძველი თაობის გარჯით, საბჭოთა სკოლისა და პედაგოგიკის მეცნიერების მიერ მოპოვებული ყოველივე საუკეთესო, ყველაფერი, რამაც გაუძლო დროის გამოცდას.

ჩვენ გვყავს საქვეყნოდ ცნობილი მასწავლებლები და აღმზრდელები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოა ყველასათვის. რესპუბლიკის მასწავლებელთა დიდ ოჯახს წელს 1500 ახალგაზრდა პედაგოგი შეემატა. აღსანიშნავია ის, რომ მათმა დიდმა ნაწილმა სოფლის სკოლას მიაშურა.

დღეს სკოლის მასწავლებლის საზრუნავი მხოლოდ მოსწავლეთა ცოდნით შეიარაღება როდია. ძალზე მნიშვნელოვანია მეორე ამოცანაც: მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს მეცნიერული მსოფლმხედველობა, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები, შრომისმოყვარეობა, შთაუნერგოს მოზარდებს პოლიტიკური ცოდნისადმი ინტერესი, ანუ ეითაროს მათ საზოგადოებრივი აქტიურობა, რადგან ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია უამისოდ წარმოუდგენელია.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება მასწავლებლის პრესტიჟისა და ავტორიტეტის ზრდისათვის. მასწავლებელს უდიდეს პატივს მიაგებს საზოგადოებრიობა. პარტია და მთავრობა ნიადაგ ზრუნავენ მისი ნახალისებისათვის, სტიმულირებისათვის. შემოღებულია საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, მეოთდისტი მასწავლებლისა და უფროსი მასწავლებლის წოდებები. ჩვენი დედაქალაქის პედაგოგებს შორის დიდად პოპულარულია კონკურსი „წლის საუკეთესო მასწავლებლის“ გამოსავლენად.

ამ დღეებში თბილისელ მოწინავე მოძღვართა სიას ახალი სახელები შეემატა. 1986 წლის სკოლის საუკეთესო მასწავლებლად წოდება მიენიჭათ დედაქალაქის 16 მასწავლებელს, რომელთა ჯგუფს ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე ეხილავთ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მრავალი საინტერესო, შედეგიან ღონისძიებებს ახორციელებს ამ მიმართულებით. „ავამაღლოთ მასწავლებლის პრესტიჟი და ავტორიტეტი, უფრო მეტად ვიზრუნოთ მის კვალიფიკაციაზე, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებზე“, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში. ამ სასელმძღვანელო მითითების ხორცშესხმისათვის პრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო სასალსო განათლების მუშაკებმა, არამედ ადგილმრივმა პარტიულმა და სახალხო ორგანოებმა.

სასკოლო რეფორმის მიღებიდან ორი წელი გავიდა. ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთი პირველთაგანი შეუდგა მის გატარებას. ეს დიდი პატივია, მაგრამ უდიდესი მოვალეობაც არის. სასკოლო რეფორმა მარტო განათლების სისტემის მუშაკთა ამოცანა როდია. ახალგაზრდობის აღზრდის საკითხები პრაქტიკულად ყველას ეხება. ეს ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან ერთად უდიდესი ყურადღებით ეკიდება პედაგოგთა კადრების მომზადების, მასწავლებელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის მრავალ რაიონსა და ქალაქს შეუძლია თავი მოიწონოს იმით, რომ მათთან ბევრი რამ გაკეთდა პედაგოგთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ახლა ჩვენში უამრავი მასწავლებელი ცხოვრობს ახალ საკუთარ თუ კომუნალურ ბინაში. მეთორმეტე ხუთწლედში მათ კიდევ გადაეცემათ 1860 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ოღონდ, უწინარეს ყოვლისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავტორიტეტს მასწავლებელი თავად იქმნის თავისი პირადი თვისებებით. თავისი საგნის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, სიახლის გრძნობით, დიდი მოქალაქეობრივი აქტიურობით, ზნეობრივი სიწმინდითა და პრინციპულობით. ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო თუ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საკლასო ოთახებსა თუ სასელოსნოებში ასობით და ათასობით სახელოვანი პედაგოგი მოღვაწეობს.

განსაკუთრებულ სიბოსსა და ყურადღებას მოითხოვს სოფლის სკოლა და მისი მასწავლებელი. რესპუბლიკის განათლების სამინისტროს აქტიური ჩარევით თითქმის ყველა სოფლის სკოლის პედაგოგს გამოეყო მიწის ნაკვეთი და სახელმწიფო ხვსნი. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან კი რესპუბლიკის ყველა რაიონში მასწავლებელთათვის რეგულარულად მოეწყობა სპეციალური ვაჭრობის დღეები.

ცხოვრების ყველა სფეროში ძირეულმა გარდატეხამ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებამ ახალგაზრდობასთან მუშაობის თვისებრივად ახალ სიმაღლეზე აყვანა მოითხოვა. ამით ჩვენი მასწავლებლობის სამოქმედო ასპარეზს ახალი პორიზონტები გაეხსნა. აქაც რეგულებით, თავდაუზოგავად ემსახურებიან თავიანთ უპირველეს ვალს ჩვენი მასწავლებლები.

სახალხო განათლების მიღწევათა საერთო-საკავშირო მაჩვენებელში დიდი და საპატიოა საქართველოს მასწავლებელთა მრავალათასიანი არმიის წვლილი. დღეს კი მათი დღესასწაულია!

შეთქმედებითს და პირად ბედნიერებას გისურვებთ, მომავალი თაობის მოძღვარნო!

გამარჯვებით დაგეგვირგვინებინოთ ახალი სასწავლო წელიც!

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

სურათზე: თბილისის 46-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაია ციცაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ე. ჰონეკერს, გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს ჰ. მისს, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს ჰ. შმიტს, რომლებიც მონაწილეობდნენ მოსკოვში ე. ტელმანის ძეგლის გახსნაში.

მომძე პარტიების ხელმძღვანელებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ფართო წრის საერთაშორისო საკითხებზე, უწინარეს ყოვლისა, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემებზე. ამასთან დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, გერმანელთა კომპარტია და დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტია ერთიან პოზიციებს ადგანან განსახილველ საკითხებში.

საუბარში, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. თ. დობრინინი და ვ. ა. მედვედევი.

(საკდესი).

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ე. ჰონეკერს

3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და ე. ჰონეკერის შეხვედრა, რომლის დროსაც განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები.

ორივე მხარემ კმაყოფილებით დაადასტურა, რომ სკკპ XXVII ყრილობისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებანი სასიკეთო გავლენას იხდენს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის მთელ კომპლექსზე.

1986 წლის აპრილში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის XI ყრილობაზე სკკპ დელეგაციის ყოფნის დროს მიღწეულ მორიგებათა შესაბამისად განიხილეს წინადადებანი კოოპერაციის თანამედროვე ფორმების ფართო გამოყენების შესახებ. საგანგებოდ აღინიშნა გაერთიანებების, კომბინატებისა და საწარმოების უშუალო ურთიერთობის, ერთობლივი სამეცნიერო-საწარმოო კოლექტივების, კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობა.

საუბრისას დიდი ადგილი დაეთმო სულიერ სფეროში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში თანამშრომლობის, სოციალიზმის პოლიტიკური სისტემის, სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის სრულყოფისათვის მუშაობის, წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის გამოცდილების გაზიარებას.

შეხვედრის მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს გააქტიურდეს მუშაობა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის სრულყოფისათვის.

შეხვედრამ გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

* * *

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ე. ჰონეკერი მოსკოვიდან სამშობლოს გაემგზავრა.

იერუსალიმზე ე. ჰონეკერი გააცილეს ი. კ. ლიგაჩოვმა, ვ. ა. მედვედევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

მოსკოვიდან გაემგზავრა აგრეთვე ჰ. შმიტი. (საკდესი).

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

ᲠᲗᲕᲔᲚᲘ-86

ახალგაზრდობა იმარჯვებს

ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲨᲘ რთველი დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო. 2 ოქტომბრისათვის რაიონში მოკრეფილი იყო 5 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, საიდანაც 1000 ტონაზე მეტი ახალგაზრდობის წილად მოდის. რთველის პირველი დღეებიდანვე რაიონულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მაღრაანისა და მატნის ის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომლებსაც ირაკლი ჭრელაშვილი და დიანა მარუქაშვილი ხელმძღვანელობენ. ამ ბრიგადებმა სამეურნეო წლის დამდეგსვე მოსავლელად გაიპირონეს 26 ჰექტარი ვენახი და ახლა უნდ მოსავალს იწევენ. რთველში აქტიურობით თავი გამოიჩინეს ს. თედეშვილმა, მ. ჭრელაშვილმა, ლ. კაბიშვილმა, მ. ხოხობაშვილმა, ზ. ბათურაშვილმა, ნ. შეშაბერიძემ, ვ. ქიტიაშვილმა და სხვებმა, რომლებიც დღეურად 700-700 კილოგრამზე მეტ ყურძენს კრეფენ.

(ხაკ. კორ.).

65.000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲓᲘᲓᲘ და პატარა ახლა რთველშია, ყურძნის კრეფა შრომის გაკვეთილებად გაიხადეს მოსწავლეებმა, სტუდენტმა ახალგაზრდობამ. ეს ტრადიცია უკვე რამდენიმე წელია გრძელდება წითელწყაროში. აქაურ მევენახეებს რთველში ტრადიციულად სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტინსტიტუტების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები ეხმარებიან ხოლმე. წლეულსაც 800-ზე მეტი სტუდენტი ესტუმრა ზემო ქედს, გამარჯვებას, ჯაფარიძეს, მთელ რაიონს. მათთვის შექმნილი იყო შრომის, დასვენებისა და გართობის ყველა პირობა. სტუდენტები ვალში არ დარჩნენ. ორი კვირის განმავლობაში 2.000 ტონაზე მეტი ყურძენი მოკრიფეს. მასპინძლებმა ისინი ზეიმით გააცილეს, მოწონავეები დაასაჩუქრეს.

წითელწყაროელებმა რთველი, რომ იტყვიან, წელში გატეხეს, 45.000 ტონა ყურძენი მოკრიფეს და სახელმწიფო მარნებს ჩაბარეს. დაბარება დაბმარებაა და რთველში ჯაფა უფრო მეტად მათ წილად მოდის, ვინც მიწა მოხნა, ვაზს მოუარა. ტრადიციისამებრ, წლეულსაც ყველაზე მეტ მოსავალს ზემოქედელები მოიწევენ. სულ მცირე 10.000 ტონას ვარაუდობენ. 7-8 ათას ტონა ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს, ზემო მაჩხანის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის კოლმეურნეობები.

რთველის ტემპი დღითი-დღე ძლიერდება. ყურძნის საშუალო დღიურმა კრეფამ 2.000 ტონას მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაპირებ ყურძნის მოსავალს — 65 ათას ტონას მთლიანად ოქტომბრის პირველ დეკადაში დააბინავებენ.

ᲕᲚ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სკკ. კორ.

ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚ ᲛᲘᲖᲜᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ

ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲔᲡ 27.510 ᲢᲝᲜᲐ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ. ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲘᲠᲕᲘᲗ 500 ᲢᲝᲜᲐᲡ ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ.

ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ მეჩაიე რაიონებს შორის ჩხოროწყუმ რესპუბლიკაში პირველმა 2 ოქტომბერს შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. დამზადდა 27.510 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც საგეგმო დავალებაზე 10 ტონით მეტია. მასში ნაზი ფრაქციის შემცველობამ 40,8 პროცენტი შეადგინა.

— ამ წარმატებას ჩვენმა მეჩაიეებმა, უპირველეს ყოვლისა, შრომითი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით მიაღწიეს; — გვითხრა საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ქაჯაიამ. — ყველა მეჩაიეს ჰქონდა თავისი ყოველდღიური ვალდებულება. მათ მხარში ედგნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, აგრონომრეწველო გაერთიანების სპეციალისტები, დაწესებული იყო გარდამავალი დროშები და ვიმპელები, ფულადი პრემიები, რამაც კეთილი გავლენა იქონია შრომის სტიმულირებაზე. ყოველივე ამის წყალობით მეტად არაწესისყრელ ბუნებრივ პირობებში დასახულ მიზნას მიაღწიეს.

საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი შეიტანა ნაფიჩხოვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — რ. გოგუა), რომელმაც მოკრიფა 2975 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს წლიურ გეგმას 5 ტონით აღემატება. იმარჯვა და გეგმით გათვალისწინებულ 2900 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული დაამზადა ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — ნ. სანაია). ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — ვ. ძერია) 1860 ტონის ნაცვლად მოკრიფა 2 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გეგმის შესრულებისათვის ენერგიულად გაისარჯნენ ლესიჭინის რუსთაველის სახელობის ჩაის მეურნეობა-კომბინატის მუშაკები (დირექტორი — ფ. ლემონჯავა).

წლიური გეგმა-ვალდებულების შესრულებას ერთი თვით ადრე გაართვეს თავი ნოვატორმა მეჩაიეებმა ეთერ ცირამუამ, ლიზა დარსალიამ, ნათელა სიჭინავამ, ლუსი დარსალიამ, მზია ვეკუამ და სხვებმა. მათ მხარდამხარ იბრძოდნენ დავალების რეალიზაციისათვის რაიონის საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები, ომისა და შრომის ვეტერანები.

მოკრეფილი ნედლეული შეუფერხებლად მიიღეს და გადამამუშავეს ჩაის მრეწველობის ჩხოროწყუს საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი — კ. სანაია) ფაბრიკებმა.

ჩხოროწყუელებმა აწონ-დაწონეს თვითანთნი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს სეზონის დამთავრებამდე დარჩენილ დროში მოკრიფონ და გადაამუშაონ 500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲠᲫᲔ

ᲙᲐᲡᲐᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეები გულდაგულ ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

ამ დღეებში მაღალმთიანი სამაჯალისა და სალომის საძოვრებიდან ჩამორეკეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ზემო ხანდაკის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა. ფერმები შეთეთრებული და შერემონტებულია, გამართულად მუშაობს საკვების ჩამოსარიგებელი, ნაკელის გამტანი ტრანსპორტიორები, დასარწყულებლები, საკვები სამზარეულო.

აქ ბოლო ოთხი წელია 80-100 კილოგრამით მატულობს პირუტყვის საშუალო წველადობა. ამის წყალობით კოლმეურნეობამ სექტემბერშივე შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 143 ტონა რძე; წლის ბოლომდე აქაური ფერმის მუშაკები დამატებით 22 ტონა რძის ჩაბარებას ვარაუდობენ, ამის გარანტიაა მეცხოველეობის ფერმებში მოწინავე გამოცდილების დანერგვა, ყუათიანი უხეში და წვნიანი საკვები, რომელიც საკმარისად მოიმარაგეს.

გ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ სკკ. კორ.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲙᲝᲕᲔᲑᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲐᲠᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲠᲝᲨᲐᲡ

ᲯᲘᲮᲐᲨᲙᲐᲠᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის სოფელ ჯიხაშკარის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები გორაკებზეა შეფენილი, რაც სოფელს ლაზათს მატებს. აქაური მეჩაიეები წლის ყოველ დროს თავს დასტრიალებენ, მზრუნველობას არ აკლებენ ჩაის ბუჩქებს და შედეგიც უარგო არა აქვთ.

მიუხედავად ჭირვეული ამინდებისა, კოლმეურნეობამ 24 სექტემბერს გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. 1317 ტონის ნაცვლად მოკრიფა და გადამუშავებულ მრეწველობას ჩაბარდა 1385 ტონაზე მეტი ნედლეული.

— საგეგმოზე მეტი ფოთოლი მოვკრიფეთ, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მეგრონა მარღიამ, — მაგრამ ხარისხისათვის ზრუნვაც არ დაგვიწყებია. დამზადებულ ნედლეულში ნაზი ფრაქციის შემცველობამ 44,1 პროცენტი შეადგინა. ამის გამო კოლმეურნეობამ და მეჩაიეებმა მეტი შემოსავალი მიიღეს.

კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი, საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი ბონდო ფიფია ასეთ ცნობებს გვაწვდის: შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 172,3 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 14 ტონას გადააჭარბა. მცირე მექანიზაციით კრეფის გეგმა 128,6 პროცენტით შესრულდა (მობილური მანქანები მთაგორიან სოფელში არ გამოიყენება).

განსაკუთრებით ისახელეს თავი იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ა. ბენდელიანი, პ. შელია, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი ნ. ნინუა და ა. გობეჩია ხელმძღვანელობენ. მათ ჯერ კიდევ ივლის-აგვისტოში შეასრულეს ჩაის კრეფის დავალება, ხოლო სექტემბერში — ნაკისრი ვალდებულება. ვალდებულებები წარმატებით შეასრულეს რ. ზარანდიამ, დ. ჩალიგავამ, ტ. მარღიამ, გ. შონიამ, ლ. კაცამ, კ. შენგელიამ, ნ. გაბეჩავამ, ე. ჯიქიამ, მ. ბენსიამ, ი. ხარებავამ და სხვებმა.

კოლმეურნეობის გეგმის რეალიზაციას ხელი შეუწყო იმანაც, რომ პარტიულ ორგანიზაციას ყურადღების ცენტრში ჰქონდა რეზერვების ამოქმედება, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცება, ჩაის ნედლეულის დამზადებაში მონაწილეობისათვის სოფლის მუშა-მოსამსახურეების, მოსწავლე-ახალგაზრდობის დარაზმვა.

ჯიხაშკარელები მიღწეულს არ სჯერდებიან. სეზონის ბოლომდე დამატებით მოკრეფენ 300 ტონა ჩაის ფოთოლს. ისინი აქტიურად იბრძვიან გაზეთ „კომუნისტისა“ და საქსახაგრომრეწველი გარდამავალი დროშის მოპოვებისათვის. მათ ამგვარ შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილებაც აქვთ — 1983 წელს „კომუნისტისა“ და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი დროშის მფლობელები არიან.

„კომუნისტის“ კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲡ

17-18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ 1986-1987 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲘᲓ-ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ შორს აღარ არის. იგი კი მკაცრად მოჰკითხავს იმაათ, ვინც დროულად არ მოემზადა ზამთრის პირობებში მუშაობისათვის. სწორედ ამიტომაც მოიცავს მომავალი რეიდ-დათვალიერება მრეწველობის უკლებლივ ყველა საწარმოს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მშენებლობის ობიექტებს, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაწესებულებებს. მისი მიზანია განსაზღვროს და შეფასება მისცეს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს, რომლებიც ადგილებზე ხორციელდება საზამთროდ მომზადებისათვის, ამომქმედოს მთელი ძალები და საშუალებები, რათა უზრუნველყოთ დარჩენილი დროის მაქსიმალური გამოყენება ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ცივ პერიოდს ყოველმხრივ შეიარაღებული შევხვდეთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რეიდ-დათვალიერების ორგანიზაციისა და მოწყობის გეგმა. მიღებულ დადგენილებაში პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს და სახალხო დეპუტატთა საბჭოების შესაბამის აღმასკომებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს დაევალათ უზრუნველყონ მისი მოწყობა მაღალ ორგანიზაციულ დონეზე. მათ აქტიურად უნდა ჩაებან ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაში საზოგადოებრიობა, პირველადი პარტორგანიზაციები და ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის მათი კომისიები, პროფკავშირული კომიტეტები, სახალხო კონტროლის ჯგუფები, კომკავშირული „პროექტორის“ ადგილობრივი შტაბები, დეპუტატთა კომისიები და ჯგუფები, ქუჩისა და სახლის კომიტეტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

მოგვიწევს დიდი და პასუხსაგები მუშაობა. ზამთრისათვის მზადებაში არ არის და არც შეიძლება იყოს წვრილმანები. რეიდ-დათვალიერების მონაწილეებმა, კერძოდ, უნდა შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება საწარმოო და საბინაო ფონდის, გასათბობი ქსელების, საინჟინრო კომუნიკაციებისა და საქვაბეების, კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმები. იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალი სეზონი დაძაბული იქნება ენერგომომარაგებაში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს შევამოწმოთ, მოწესრიგებულია თუ არა გასათბობი სისტემები საცხოვრებელ და სახოგადოებრივ შენობებში, შექმნილია თუ არა სათბობის ნორმატიული მარაგი საწარმოებისა და მოსახლეობის საჭიროებებისათვის, რამდენად არის მომზადებული ზამთრის პირობებში შეუფერხებელი მუშაობისათვის სამგზავრო ტრანსპორტი, საგზაო მეურნეობა და საავტო სამსახურები. საწარმოებსა და დაწესებულებებში განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება, მათი ხარჯვის აღრიცხვისა და ანგარიშგების მოწესრიგება, სალიმიტო და საფონდო დისციპლინის დაცვა. დროულად უნდა ვიზრუნოთ პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის. ამოცანა ის არის, რომ გავითვალისწინოთ წარსული წლების გაკეთილები და გამდიდრებულად გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი და ხარვეზები, ოპერატიულად განვსაზღვროთ მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი, ყველაფერი ვიღონოთ ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის მოსახლეობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფისათვის, უნდა მიგაღწიოთ, რომ ამინდის ვერავითარმა ჭირვეულობამ ვერ დაარღვიოს ცხოვრების მოგვარებული რიტმი, როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

ადგილებზე რეიდ-დათვალიერების მომზადება-მოწყობისათვის მთელ მუშაობას უნდა მეთაურობდნენ პირველადი პარტორგანიზაციები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები. მათივე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა განიხილონ მისი შედეგები, მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი წერილები და განცხადებანი, დასახონ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი. საზამთროდ სრული მზადების უზრუნველყოფაში განსაკუთრებით ბევრი რამ უნდა გაკეთონ რესპუბლიკის სამინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, გაზის სახელმწიფო კომიტეტმა, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტმა, საქმთავარნერგომ, რომლებსაც დაეკალათ მეტი კონტროლი გაუწიონ დარგებს, ყველაზე სერიოზული ყურადღება დაუთმონ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომეტრნედ ხარჯვას.

რეიდ-დათვალიერების პერიოდში ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით მიზანშეწონილად არის მინიეული რესპუბლიკის ქალაქ

შემოქმედებისა და აღმშენებლობის გზები

ბარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი წდება საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა თეორიული საქმიანობა. ცხოვრების ახალი პროცესებისა და მოვლენების გასაზრებელი კვლევის კონკრეტული პროგრამა დასახეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგეებმა საკავშირო თათბირის მონაწილეებმა. 3 ოქტომბერს თათბირმა მუშაობა დაამთავრა მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

ჩვენი თათბირის მოწოდებას— უკუვაგდოთ სწავლების მოძველებული მეთოდები და ყველგასული მეთოდიკები, — ჩვენ მაშინ შევასრულებთ, თუ ვიმუშავებთ ნოვატორულად, შემოქმედებითად, თქვა კიევის უნივერსიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დირექტორმა **ბ. ი. ალოროლოვმა.**

ჩვენ პრაქტიკით დავრწმუნდით, ხაზი გაუსვა მან, რომ ამ მუშაობის დამკვიდრებული მრავალი წლის ფორმები და მეთოდები ძირფესვიან ცვლილებებს მოითხოვს. სასწავლო პროცესის ორგანიზაციისადმი ინფორმაციული, განმანათლებლური მიდგომა სულაც არ უწყობს ხელს სწავლებისადმი ნოვატორული მიდგომის ჩამოყალიბებას. დღესდღეობით მოქმედი ტიპობრივი სასწავლო გეგმა გვაიძულებს გადავტვირთოთ მსმენელები ლექციებით, იწვევს მათთან მუშაობაში ორგანიზაციულ გადამლაშებას. შემთხვევითი როდია, რომ კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ოსტატრობის ამაღლების მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად კლებულობს.

ამასთან დაკავშირებით ორატორმა აღნიშნა, რომ დრო დაბეჭდვებით მოითხოვს მსმენელებთან მუშაობაში მეტ ინდივიდუალიზაციას. დროა აღვუღგინოთ ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობის უფლება მათგან ყველაზე კვალიფიციურ, გამოცდილ ამხანაგებს. შემოქმედებითი საწყისების გაძლიერება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ეფექტიანად შევასრულოთ ის ამოცანა, რომ გადავაქციოთ კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები უმაღლესი სკოლის სასწავლო-მეთოდიკურ ცენტრებად, რომლებიც გაუძღვებიან მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სწავლებისა და სტუდენტთა კომუნისტური აღზრდის სრულყოფის საქმეს.

მეომართა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის და ამ პროცესში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამოცანებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ **დ. ა. ვოლკონოგოვმა.**

უმაღლესი სამხედრო სკოლის გარდაქმნაში, თქვა მან, უმთავრესი ყურადღება ეთმობა იმას, რომ მაქსიმალურად დაეუახლოოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება სამხედრო მშენებლობის პრაქტიკის მოთხოვნებს და, უწინარეს ყოვლისა, ისეთი ამოცანის გადაწყვეტას, როგორიც არის მშვიდობის უმნიშვნელოვანესი მატერიალური გარანტიის — სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტის შენარჩუნების უზრუნველყოფა. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვამბობთ, რომ პოტენციურ მოწინააღმდეგესთან ვერავითარი სულიერი პარიტეტი ვერ გვექნება, განაცხადა ორატორმა. ჩვენ გვაქვს უცილობელი სულიერი უპირატესობა ჩვენს იდეოლოგიაში, კულტურაში, სულიერ ღირებულებებში, და საზოგადოებათმცოდნეებიც აკადემიებში, სამხედრო სასწავლებლებში ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ეს პოტენციალი.

ორატორმა თქვა, რომ უკვე ხორციელდება უმაღლესი სამხედრო სკოლის გარდაქმნა, გადამუშავებულია სამხედრო აკადემიებისათვის განკუთვნილი პროგრამა, ინერგება სწავლების შემოქმედებითი აქტიური ფორმები. ბევრს იღვწიან სამხედრო მკვლევრები საიმისოდ, რომ გაიაზრონ სამხედრო საქმის ახალი ტენდენციები და კანონზომიერებანი.

ბელორუსიის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების ფილოსოფიის კათედრის გამგემ **ვ. ს. სტეპინმა** წინადადება წამოაყენა გაითვალისწინონ ზოგადჰუმანიტარული დისციპლინების ციკლი კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის პროგრამაში. საზოგადოებრივ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა ერთიანობის თანამედროვე ეტაპის შესაბამისად, თქვა მან, საჭიროა საზოგადოებათმცოდნეებს მივცეთ ცოდნა, რომელიც ეხება ბუნებისმეტყველების თანამედროვე მდგომარეობას.

შემდეგ ორატორი შეეხო საზოგადოებათმცოდნეთა ახალგაზრდა კადრების მომზადების პრობლემებს. სოციალური გამოცდილების რა ნიმუშებსაც ვუნერგავთ ახალგაზრდობას, აღნიშნა მან, ისეთ სპეციალისტებადაც მოგვევლინებიან და შეგვცვლიან ისინი. ასპირანტურაში ისეთ სტუდენტთა ჩარიცხვა, რომლებსაც თვიდანვე ეტყობათ მეცნიერული კვლევის ნიჭი, უცილობლად აწყდება ხოლმე მათი მომავალი გარანტირებული შრომითი მოწყობის პრობლემას. ამის შედეგად პრაქტიკულად მოისპო კონკურსი ასპირანტებს შორის. ამრიგად, დაირღვა კადრების მომზადების ჯაჭვი: ნიჭიერი სტუდენტი — ასპირანტი, მასწავლებელი — უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებელი.

უმაღლეს სკოლასა და კომკავშორნის გარდაქმნის ამოცანები განუყრელად უკავშირდება ერთმანეთს, ხაზგასმით აღნიშნა სრულიად საკავშირო აღკაკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. მორონენკომ.** გარდაქმნის გზაზე ერთ-ერთი დაბრკოლება, — თქვა მან, — ის არის, რომ ძვალრბილში აქვთ გაჯდარი ჩვენია — სტუდენტში ხედავდნენ ზემოქმედების პასიურ ობიექტს და არა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულუფლებიან მონაწილეს. თუ სტუდენტი არ ჩაება ჭეშმარიტების აქტიურ ძიებასა და წვდომაში, ახლებურად ვერ წარმართავ აღზრდა-განათლების პროცესს. რა თქმა უნდა, უფრო იოლია აცხადო მზმზარეული ჭეშმარიტებანი, ვიდრე მიგაყვიდეს ახალგაზრდობა მის წვდომამდე. არადა, სწავლება უპირატესად მიმდინარეობს მასწავლებლის მონოლოგის ფორმით, რომელსაც დროდადრო წყვეტს ხოლმე სემინარული მეცადინეობა. ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა გააქტიურდეს ყველა ფორმის სწავლება, გაფართოვდეს სტუდენტთა დამოკიდებულება და ინიციატივა. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ სტუდენტთა თვითმმართველობაზე, თქვა მან, ამასთან სიტყვით ვაღიარებთ მას, მაგრამ საქმით, როგორც წესი, არ ვანებებთ გაავრცელონ თვითმმართველობა საერთო საცხოვრებლების, სტუდენტთა სასადილოსა ან კლუბის იქით. ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ თათბირზე დასახული ამოცანების რეალიზაციაში თავიანთი წვლილის შეტანა შეუძლიათ არა მარტო მასწავლებლებს, არამედ სტუდენტებსაც. თუ საზოგადოებათმცოდნეობა ახალგაზრდობას ასწავლის ახლებურად იფიქროს, კომკავშირი კი დაეხმარება მას ისწავლოს, იმოქმედოს ახლებურად, ჩვენ შევძლებთ აღვზარდოთ ახალგაზრდა თაობა, რომელსაც უნარი შესწევს გადაწყვიტოს ახალი, რთული ამოცანები.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ბევრი კურსდამთავრებული ნამდვილად საუცხოო სპეციალისტი რომ დგება და ღირსეული წვლილი შეაქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით საზოგადოებათმცოდნეებსაც, თქვა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა **ი. კ. მიხაილოვმა.** მაგრამ ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მეცნიერული და შემოქმედებითი პოტენციალი ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება.

აღზრდა-განათლება ერთიანი პროცესია. და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები ადამიანს უნდა აძლევდნენ არა მარტო ცოდნას, არამედ უნარსაც — სწორად ერკვეოდეს რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებში, შეგნებულად მოქმედებდეს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ქვაკუთხედად აყენებდეს საზოგადოებრივ ინტერესებს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოძავალი სპეციალისტის არა მარტო ცოდნისათვის, არამედ აგრეთვე ზნეობრივი სახისთვისაც, აღნიშნა ყირგიზეთის სამედიცინო ინსტიტუტის პოლიტეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგემ **ნ. ხ. კუმსკოვამ.** ჩვენ ვუშვებთ სპეციალისტს, რომელსაც შესწავლილი აქვს სკკპ ისტორიაც, ფილოსოფიაც, პოლიტეკონომიაც და მეცნიერული კომუნიზმიც, პრაქტიკულ მუშაობაში კი აღმოჩნდება ხოლმე, რომ იგი გულქვა და უსულგულო, პაციენტებთან უზეში ყოფილა. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების ბრალიც არის. ცხოვრება ძალიან რთულია, და ჩვენ ზოგჯერ ვცდილობთ გვერდი ავუაროთ მის წინაღმდეგობებს. ჩვენი ახალგაზრდობა გამოირჩევა მაძიებელი გონებით, კრიტიკული აზროვნებით. და, როდესაც ჩვენ არსებითად კი არა, ზეპირად ვუპასუხებთ საჭირბოროტო საკითხებს, ეს ხელს უწყობს ცხოვრებისადმი, მორალური და ზნეობრივი ღირებულებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების შემუშავებას. ჩემი აზრით, უაღრესად საჭიროა გავაძლიერთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლაში ზნეობრივი მიზანმიმართულება.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში შეტანილი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემები განიხილა თავის გამოსვლაში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიის კათედრის გამგემ **პ. ა. ნიკოლაევმა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ღრმად გავიაზროთ ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის, მათი სოციალური კრიტერიუმების, ლიტერატურათმცოდნეობითი აზროვნებისა და მომიჯნავე მეცნიერული დისციპლინების კავშირის განმტკიცების იდეოლოგიური ბუნება. ახლა ლიტერატურული აზროვნების ხარისხს, აღნიშნა ორატორმა, დაღს ასვამს სპეციალიზაციის ხარჯები. თანამედროვე კრიტიკა უნდა წარმართოთ აზროვნების უნივერსალური მეთოდის დასამკვიდრებლად. დროა, მან შეძლოს უფრო ვაჟკაცურად და ალალმართლად ელაპარაკოს მწერლებს — ეს გაცილებით უფრო სჭირდება საზოგადოებას, ვინემ უნაყოფო სჯა-ბაასი ეგრეთ წოდებული „ულიმამამ“ ლიტერატურის შესახებ.

ლიტერატურათმცოდნეობასა და ლიტერატურულ კრიტიკას უნდა დავეხმაროთ, კერძოდ, იმ საქმეში, რომ შეიგნოს რუსული ლიტერატურისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ეროვნული ლიტერატურების თანაფარდობა. კრიტიკული აზროვნება თავისი ბუნებისმგებლური იდეოლოგიური ფუნქციის შესრულებას შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის აყვავება აიხსნება ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის შემდეგ შექმნილი სოციალური პირობებით.

სექციების მუშაობის შედეგების შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილემ **ვ. ი. ზუბარევმა.**

ჩვენი თათბირის მუშაობის მიმართულება, თქვა მან, განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის მოხსენებამ, რომლებშიც შემდგომი განვითარება და დაკონკრეტება პოვა სკკპ XXVII ყრილობის მითითებებმა პარტიის თეორიული მუშაობის, მშრომელების, საბჭოთა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე. გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად გამოთქვეს აზრი, რომ ამ პარტიულ დოკუმენტებში მოცემულია უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების და პროფესორ-მასწავლებლების მუშაობის გარდაქმნის კონკრეტული პროგრამა, დასახულია ძირითადი მიმართულებანი, მისი რეალიზაციის მეთოდები და საშუალებები.

მხარი დაუჭირეს აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის სრულყოფისა და უმაღლესი განათლების გარდაქმნის პრაქტიკულ ღონისძიებებს. თათბირზე გამოვიდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის უდიდესი საუნივერსიტეტო ცენტრების მასწავლებლები. მათ მთავარი ყურადღება დაუთმეს, იმ ძირითადი ამოცანის განხილვას, თუ როგორ გააუმჯობესონ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების სწავლების ხარისხი. საქმე ეხებოდა, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკასთან სწავლების დაახლოების, რეალურ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით თეორიული საკითხების შესწავლის გზებსა და საშუალებებს.

გამოსვლები პრინციპული, კრიტიკული და კონსტრუქციული ხასიათისა იყო. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ღონისძიებათა განხილვას, რომელთა მიზანია დაკვლიოთ კათედრების საქმიანობაში არსებული ნეგატიური მოვლენები, მტკიცედ აღმოვფხვრათ დროშოქმული ფორმები და მეთოდები, ფორმალიზმი და სქოლასტიკა, მედავითნეობა და დოგმატიზმი.

სექციების სხდომებზე მიმდინარეობდა იმ ყველაზე ეფექტიანი გზებისა და საშუალებების ძიება, რომლებიც ხელს შეიწყობენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების, პროფესორ-მასწავლებლების როლის ამაღლების, პარტიის სტრატეგიული კურსის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის რეალიზაციაში, სტუდენტთა ძირეულ სისტემულ-ლენინური მომზადებისა და კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების საქმეში.

ძირითადად მოიწონეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ახალი სასწავლო პროგრამების პროექტები, საკავშირო თათბირის რეკომენდაციები. გამოსულმა ამხანაგებმა შემოიტანეს მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ მეცნიერული კვლევის გაკვეთილებას, მათს დაახლოებას ცხოვრების, პრაქტიკის მოთხოვნებთან. დასახულია ღონისძიებანი, რათა დაიზღვიოს მეცნიერული მუშაობის დაგეგმვა და ორგანიზაცია, ამაღლდეს გამოსაცემი ლიტერატურის თეორიული დონე, გაუმჯობესდეს საგამომცემლო საქმიანობა. განიხილეს მეცნიერული კრიტიკის ქმედითობის გაძლიერების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტუალურ პრობლემებზე შემოქმედებითი დისკუსიების მოწყობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები.

სექციების მუშაობამ, თქვა დასასრულ ორატორმა, ცხადყო, რომ საზოგადოებათმცოდნენი ღრმად არიან დაინტერესებული მთელი თავიანთი საქმიანობის გარდაქმნით და მზად არიან ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციას, პარტიის კურსის განხორციელებას, რომლის მიზანია დაჩქაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გარდაქმნას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, მიაღწიოს საბჭოთა სპეციალისტების ახალი რაზმის პროფესიული მარქსისტულ-ლენინური მომზადების თვისებრივად ახალ დონეს.

თათბირის დახურვისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ვ. ზიმიანინმა** თქვა, რომ ეს შეხვედრა დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ თათბირზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლამ მთელი ძალით ცხადყო ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც პარტია იჩენს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი, საზოგადოებრივი მეცნიერებებისადმი, იმ ტალანტი რწმენის გათვალისწინებით, რომ დაჩქარების, გარდაქმნის, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობა ითხოვს. ეს ერთ-ერთი ფუძე-ფილოსოფიური საფუძველია, თუ არ ვაკეთებთ ეს, იდეურ-თეორიული სუსტდამოკიდებულებით, თუ ადამიდოდ მეცნიერულად არ იქნება უზრუნველყოფილი განვითარებადი სოციალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის პრაქტიკული ღონისძიებანი. ეს საპროგრამო სიტყვა, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, XXVII ყრილობის იდეების შემდგომ თეორიულ განვითარებას წარმოადგენს, საფუძვლად უნდა დავუდოთ მთელ ჩვენს მუშაობას ქვეყანაში უმაღლესი განათლების განვითარებისათვის, ჩვენი უმაღლესი სკოლის გარდაქმნისა და ამავე დროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისათვის.

ი. კ. ლიგაჩოვის მოხსენებაში ყოველმხრივ გაანალიზებულია უმაღლეს სკოლაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და მთლიანად ჩვენი საზოგადოებათმცოდნეობის მდგომარეობა, განსაზღვრულია მათი შემდგომი სრულყოფის ამოცანები.

ამყოფილებას იწვევს ის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის გ. ა. იაგოდინის, თათბირის მონაწილეთა გამოსვლები გამსჭვალულია მისწრაფებით განამტკიცონ უმაღლესი სკოლის კავშირი ცხოვრებასთან, დაიჩქაროს მისი გარდაქმნა. ჩვენ თათბირის იდეები და დასკვნები უნდა გავაცნოთ უმაღლესი სკოლის ყველა მუშაკს, განვიხილოთ თითოეული უმაღლესი სასწავლებლის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა თეთოეული კათედრის ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით მ. ვ. ზიმიანინმა საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებს უსურვა წარმატებანი მათს კეთილშობილურ საქმიანობაში, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობის აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენენ ამხანაგები ჰ. ა. ალიევი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი. (საკინფორმი).

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

საზეიმო სხდომა

მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

კრება გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ი. ლაღიძემ.

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში განათლების მუშაკთა წვლილის, საბჭოთა მასწავლებლის საპატიო მოვალეობის, რესპუბლიკაში სკოლის რეფორმის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს განათლების მინისტრმა ნ. შ. ვასაძემ.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე. (საკინფორმი).

ფლის საუკეთესონი

გუშინწინ თბილისის სადღესასწაულო სასახლეში გაიმართა დედაქალაქის წლის საუკეთესო მასწავლებელთა დაჯილდოების ცერემონიალი. იგი შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა კ. სუჯაშვილმა, რომელმაც წაიკითხა კონკურსში გამარჯვებულთა სია. აი ისინიც: ელენე აბაშიძე — 47-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი; ნინო გოლდმანი — მე-11 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი; სერგო ვარდოსანიძე — პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი; ვალენტინა კოლესნიჩენკო — 106-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; ნუგზარ კალანდაძე — 128-ე საშუალო სკოლის ფიზიკური კულტურის მასწავლებელი; არნოლდ ნაუშენკო — 155-ე საშუალო სკოლის დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი; ნიკოლოზ ნესტეროვი — 45-ე საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი; თამილა ნაცვლიშვილი — 54-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი; სტეფანე ოგანეზოვი — 64-ე საშუალო სკოლის ხაზვის მასწავლებელი; ეთერ სიმონია — 58-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი; ნათელა სვანიძე — პირველი საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი; ნორა ტარიელაშვილი — პირველი ექსპერიმენტული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი; შუშანა ტოკარაძე — 84-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; მანანა ხანიაშვილი — მე-8 საშუალო სკოლის უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი; რეა ხუციშვილი — 130-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; ზინა ცინცაძე — 55-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

●●

სურათზე: თბილისის საშუალო სკოლების წლის საუკეთესო მასწავლებელთა ჯგუფი.

ვ. გენგიურისა და ჯ. ლომაძის ფოტო.

გამოცდა მკაცრი იქნება

ზომიერნეობის გამოცდა იქნება მოახლოებული ზამთარი, აღინიშნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სათბობით, ელექტრონული და სითბური ენერგიით უზრუნველყოფის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე, რომელიც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გაიმართა. თათბირზე განხილეს, თუ როგორ მიმდინარეობს ზამთრისათვის სახალხო მეურნეობის მზადება ბორჯომის რაიონში, ქალაქებში გორსა და ზუგდიდში.

ზამთრისათვის მზადების დამამთავრებელი სტადია დაუდგათ ენერგეტიკოსებს. მდინარეთა გათავთხელების მიუხედავად წყალსაცავები საჭირო დონემდეა ავსებული.

მაგრამ რესპუბლიკაში არის მთელი რიგი საეწყებო ელექტროსადგურები, როგორიცაა, მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელსადგური. და მათი ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ საერთო-რესპუბლიკურ საჭიროებებს, ზრუნავენ მხოლოდ თავიანთი საწარმოების მოთხოვნილებათა უზრუნველყოფად. ეს ელექტროსადგურები, როგორც წესი, სრული სიმძლავრით არ მოქმედებს და ცდება. არადა, საეწყებო სადგურების მუშაობის გაუმჯობესება შესაძლებელს გახდიდა გაზრდილიყო ელექტროენერგიის გამომუშავება.

უკანასკნელ ხანს აღინიშნა შეფერხება ავტოპარკის ბენზინით უზრუნველყოფაში. ეს იმის გამო მოხდა, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე საწარმოებმა დაარღვიეს მისი გამოზავნის გრაფიკი. იმისათვის, რომ შემდგომში თავიდან ავიცილოთ ასეთი მდგომარეობა, აღინიშნა თათბირზე, საჭიროა მოვაგვაროთ საკმარისი რაოდენობის ასეთი ბენზინის წარმოება ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში.

თათბირის მონაწილეებმა გააანალიზეს თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ ენერგორესურსების მოხმარების მდგომარეობა. აღინიშნა, რომ აქ არ წარმოებს ელექტროენერგიის ხარჯვის საამქროებრივი აღრიცხვა, არა აქვთ მაზუთის ხარჯის აღრიცხვის ნელსაწყოები, არ მოქმედებს გაზის წვის რეგულირების ავტომატიკა. გადაწყდა, საწარმოში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის შემოწმების მასალები გადასცენ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

(საკინფორმი).

ქვეყნის სასურსათო ყულაბაში

საქართველოს წარმომადგენლები უხვი მოსავლის აღებაზე

თითქმის ორმოცი ათასი ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადაზიდეს საქართველოს მძღოლებმა პეტროპავლოვსკის ოლქის პრესნოვკის რაიონში მოსავლის აღების დროს. ერთი შეხედვით, ეს ციფრი არცთუ ძალიან დიდია სხვა რაიონების მაჩვენებლებთან შედარებით, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ავტომანქანები მუშაობენ. მაგრამ მარცვლეულის წილად აქ მოდის საერთო ტვირთის ოთხმოცდათ პროცენტზე მეტი. ასე რომ, თუ მთლიანად პრესნოვკელებს გადაზიდვის მოცულობა არც ისე მნიშვნელოვანი აქვთ, სამაგიეროდ, გადატანილი პურის რაოდენობით ისინი ლიდერთა შორის არიან. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. პირველი დღიდანვე აქ გამოგზავნილი მარნეულის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების №2664 ავტოკოლონის, რუსთავის, გორისა და გორის რაიონის, აგრეთვე თბილისის ლენინის რაიონის საწარმოთა მანქანები პრაქტიკულად მთლიანად პურის აღებაზე არიან დასაქმებული.

— ქართველი მძღოლები ჩვენი ცხრა საბჭოთა მეურნეობიდან ხუთში მუშაობენ, — თქვა ყაზახეთის კომპარტიის პრესნოვკის რაიკომის მდივანმა ტასბაი სამამბაევმა, — და მათმა გარჯამ საკმაო წვლილი შეიტანა რაიონის მაჩვენებლებში. 54 ათასი ტონა მარცვლეულიდან, რომელიც დღეს სახელმწიფოს ბეღლებში დავაბინავეთ, მეტი ნაწილი მათ გადაზიდეს.

პარტიის XXIII ყრილობის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კალოზე ადგილმბრივი ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელთან, პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის ინსტრუქტორთან გიორგი ჭალაგანიძესთან ერთად მივედით. წინა დღით კოკისპირულად წვიმდა, და კომბაინები დილიდანვე ვერ გავიდნენ მინდორში. ელოდნენ, სანამ მიწა გაშრებოდა და პურის მომკა შესაძლებელი გახდებოდა. ამიტომ პრაქტიკულად მთელი საბჭოთა მეურნეობის ტექნიკა კალოებიდან ელევატორებში მარცვლეულის გადაზიდვისათვის მუშაობდა. ავტომობილების პარკი მკის დროს მნიშვნელოვნად შეივსო მანქანებით, რომლებიც აქ გამოგზავნეს საქართველოს დედაქალაქის ლენინის რაიონის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა. კარგად იცნობენ საუკეთესო მძღოლებს, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს საბჭოთა მეურნეობაში, ასევე მის მეზობელ ბუდიონოვკის მეურნეობაში, სადაც თბილისს ლენინის რაიონის წარმომადგენლები რუსთაველ მშრომელებთან ერთად შრომობენ.

— ახალგაზრდებმა შრომით დაიმსახურეს პატივისცემა, — თქვა გ. ჭალაგანიძემ, — აბა, როგორ არ უნდა სცენ პატივი ოთარ მელიქიშვილს, ზურაბ ნოზაძეს, ვახტანგ ზაქაიძეს, იური ავდალიანს, ამირან ფარქოსაშვილს, რომელთა მაჩვენებლები თითქმის ყოველდღე აღემატება საგეგმოს. ა. ფარქოსაშვილის შესახებ განსაკუთრებით უნდა გელაპარაკოთ. კრმიაში სამსახურის წლების მანძილზე იგი ინტერნაციონალური მოვალეობის იხდიდა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სიმონარ მოქმედებებშიც მოუწია მონაწილეობა. ეს ისეთი კაცია, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებს მოვალეობის გრძნობას.

დ. ბერძენიშვილი,
ი. ნიკიფოროვი,
საკინფორმის სპეც. კორ.

პრესნოვკა,
ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქი

მასწავლებლობა მოწოდებაა!

მასწავლებლის სახეს ოდითგანვე ადგას შარავანდედად ულრმესი მოწიწება და სიყვარული.

სწორედ ასეთები იყვნენ ჩემთვისაც ჩემი მასწავლებლები გენა კობახიძე და ქეთევან ამმრიკიშვილი, აწ გარდაცვლილები თამარ გიორგობიანი და ლუბა ბიკოვა, უფროსი პიონერხელმძღვანელი ელეონორა საღარეიშვილი, ახალგაზდა მასწავლებელი მედიკო ამბროლაძე და კლასის ხელმძღვანელი ლიდა სიჭინავა. ასეთებად დარჩნენ ისინი ჩემთვის ახლაც, თუმცა მე თავად 15 წელია მასწავლებელი ვარ და თაობებისათვის დამილოცნია გზა ცხოვრებაში. ბედნიერი ვარ, რომ ჩემგან გზადალოცილები თავიანთ სიტყვას ამბობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. სულ ოცდაოე წელს ითვლის ჩვენი სკოლა და მისი სამი კურსდამთავრებული საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა: გაბარიტანი სატრაქტორო ქარხნის დირექტორი ა. ნაცვლიშვილი, მფრინავი ჩაჩხიანი და სტუდენტი ა. დეკანოიძე.

მასწავლებლის მსოფლმხედველობა, მისი ყოფაქცევა, მისი ცხოვრება, ყოველი მოვლენისადმი მისი მიდგომა ასე თუ ისე გავლენას ახდენს ყველ მოსწავლეზე. ეს ზნირად შეუმჩნეველია, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ, თუ მასწავლებელი მეტად ავტორიტეტულია, ზოგიერთ ადამიანს მზელ სიცოცხლეში რჩება ამ მასწავლებლის გავლენის კვალი. აი, რატომ არის სწორედ, რომ მასწავლებელი ყურადღებას უნდა აქცევდეს თავის თავს, უნდა გრძნობდეს, რომ მის ყოფაქცევას, მის მოქმედებას ისეთ უძლიერეს კონტროლს უწევენ, როგორსაც არცერთ ადამიანს მსოფლიოში. ათეულ ბავშვთა თვალი უცქერის მას და არ არის რა იმაზე ყურადღებიანი, იმაზე ფხიზელი, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სხვადასხვა ნიუანსს იმაზე ამთვისებელი, ვერავინ ისე ვერ დაიჭერს ყოველ ჭრილმანს, როგორც ბავშვის თვალი. ეს უნდა გვახსოვდეს. — მ. კალინინის ეს საოცრად ზუსტი სიტყვები ზედმიწევნით ესადაგება დღევანდელობას. დიახ, ქვეყანას, ახალგაზრდას XXI საუკუნის გამგებელთ სჭირდებათ მაღალი ზნეობისა და თავის საქმეზე შეყვარებული მასწავლებლები.

მასწავლებლობა მოწოდებაა! რომელი მოსწავლე შეიძლება იყოს მომავალში მასწავლებელი, ამას თითოეული პედაგოგი კარგად გრძნობს, როცა მოსწავლეთა შორის პიონერულ და კომკავშირულ მუშაობას ხელმძღვანელობს. მეხუთე-მეექვსეკლასელები დიდი მზრუნველობით დასტრიალებენ თავს თავიანთ ოქტომბრელებს, ცდილობენ ლამაზად და საინტერესოდ მოამზადონ ისინი სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. მათთან ერთად დადიან თოჯინების თეატრში, ექსკურს

ᲕᲐᲠᲯᲘᲡ 800 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ

ᲕᲐᲠᲯᲘᲐ ყოველი ქართველის გულში ეროვნული თვითშეგნების მძლავრი გამოხატულებაა. დიდი ხელოვნების სწორუპოვარი ძეგლია. იგი ერის წმიდათაწმიდა ხატია, რომელთანაც დიდი მოწიწების გრძნობით მიდიოდა და მიდის ქართველი. ვარძია ნათელი სხივია საქართველოს წარსული ცხოვრებისა, მისი სიხარულისა თუ მწუხარების თანაზიარია. იგი დღესაც დიდ ზნეობრივ გავლენას ახდენს მამულიშვილურ გრძნობებზე. ვარძიის როლი საქართველოს ისტორიაში და კულტურაში იმის მაგალითიცაა, თუ როგორი ოპტიმისტური გრძნობით უნდა ცხოვრობდეს და ქმნიდეს კაცი ამ ქვეყანაზე. ვარძია მხატვრული თვალსაზრისით, მასში ჩაქსოვილი ჰუმანიზმითა და ხელოვნებით ზოგადსაკაცობრიო იდეალებამდე მაღლდება და მუდამ იქნება სხვადასხვა ეროვნებისა და დროის ხალხებისათვის დიდი შთამაგონებელი ძალი..

ვარძიის შექმნის ხანა თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ხანაა; იმ დროის საქართველო არა მარტო ძლიერი და მდიდარი ქვეყანაა, იგი მრავალეროვანი კავკასიის ცენტრია და ქრისტიანული ქვეყნების დამცველი ბოჭჯი. მისი დიდად განათლებული საზოგადოება საფუძველია ჰუმანისტური იდეების აღზევებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებისა. იგი ატარებს რელიგიურ შემწყნარებლობას და სამონასტრო ცხოვრებაში საერო საწყისები შეაქვს. ამ ეპოქაში კულტურა და ყოფა ჰარმონიულ განვითარებას აღწევს, ეს ქართული კულტურის რენესანსია. ვარძიის ანსამბლის შექმნაც ქვეყნის ამ დიადი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა.

ვარძია ამ თვალსაზრისით მხარში უდგას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ — ჰუმანიზმის მაუწყებელ ამ პოემას, ნაწარმოებს, რომელმაც საშუალება მისცა მეცნიერებს დაენახათ ქართული რენესანსის რეალური საფუძვლები. ვარძიის ხუროთმოძღვარი დაჯილდოებულია დიდი შემოქმედებითი ნიჭით და თავისი დროის ახალი ჰუმანისტური მიმდინარეობის ერთ-ერთი ძლიერი და რეალისტი ხელოვანთაგანია.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ

8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ თბილისში გიმართა ვარძიის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. იგი მოაწყვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

შესავალ სიტყვაში აკადემიის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ჯიბლაძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა წარუვალი მნიშვნელობა აქვს ამ უნიკალურ ძეგლს ჩვენი ხალხის ისტორიულ წარსულის შემეცნებაში, სამამულო კულტურის რენესანსის ხანის ქართულ სახელმწიფოს შესწავლაში, როცა მან ჰუმანიზმის ნამდვილ მწვერვალებს მიაღწია. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეს ძეგლი ჩვენს დღეებში. იგი დიდ როლს ასრულებს ახალგაზრდობის სულიერ და ზნეობრივ აღზრდაში.

ფართოდ და კომპლექსურად შეისწავლება ვარძია დღეს. გრძელდება ქალაქთმშენებლობის, ფერწერის, ლიტერატურის ამ ძეგლის დეტალური კვლევა. უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელდა დიდი სამუშაოები მისი აღორძინებისათვის, აღმოჩენილია აქამდე უცნობი წარწერები. ამაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში მეცნიერებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, ლიტერატურათმცოდნეებმა, რომლებიც შეეხნენ ძეგლის რესტავრაციის სხვადასხვა საკითხს, XII-XIII საუკუნეების მონუმენტური ფერწერის, ძველი წარწერების თავისებურებებს.

გუშინ სამეცნიერო სესიამ მუშაობა განაგრძო ვარძიაში. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ისტორიული ქარტეხილებისა და ბედის უკუღმართობის გამო დუმილითაა მოცული გენიალური ხუროთმოძღვის ვინაობა და ამ დიდებული ძეგლის სრული ამბავი, მაგრამ „ქართლის ცხოვრება“, ზოგიერთი დოკუმენტი, ლაპიდარული წარწერები, ვარძიის მხატვრობა და თვით ძეგლის ცალკეული ნაგებობანი საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ ვარძიის ისტორია და როლი ქვეყნის ცხოვრებაში.

ვარძიას სამი ქტიტორი ჰყავს: მონასტრისა — გორგი მესამე, მონასტრისა და ტაძრისა — თამარ მეფე და ტაძრის მხატვრობისა — ქართლის ერისთავი რატი სურამელი, გამოსახულნი ტაძრის მხატვრობაში. ვიცით ავრეთვე ტაძრის დიდებული რეალისტური ფერწერის ავტორის სახელი „გიორგი“, ფარულად ჩაწერილი ფრესკულ ორნამენტში.

1185 წელს ნაკუთრხი ვარძია იმთავითვე დაარსდა როგორც სამონასტრო ანსამბლი და თავისი არსებობის ოთხასწლოვანი ისტორიის მანძილზე უიცველად იწოდებოდა როგორც სამეფო სახლის „დიდი და პატიოსანი მონასტერი“. „ქართლის ცხოვრება“ ვარძიის სახელს განსაკუთრებული მოწიწების გრძნობით ეპყრობა და ქვეყნის ესა თუ ის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებანი ძირითადად ვარძიასთან ურთიერთობაშია ახსნილი.

როდესაც მემატიანე მოგვითხრობს თამარ მეფის მიერ ქვეყნის შიგნით, ანდა საზღვარგარეთის წმინდა ადგილებში დიდ სამონასტრო მშენებლობაზე და ამ კულტურული კერების ფართო ხელშეწყობაზე, წინა პლანზე წამოწეულია და ვრცლად, აღმაფრენით არის მოთხრობილი ვარძიის მონასტრის კლდეში გამოკვეთის ამბავი, მისი განსაკუთრებული ადგილი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. კარგად არის ცნობილი სამონასტრო ცენტრების ამ ძველი ქართული მწერლობის კერათა დიდი მნიშვნელობა ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში.

ვარძიის ბიბლიოთეკიდან მხოლოდ ორად ორი ნაწარმოები შემოგვრჩა. ეს არის XII საუკუნის ვარძიის „ოთხთავი“ და ვარძიაში მოღვაწე იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“, დანარჩენი... ამის შესახებ თვით „სახარების“ XVI საუკუნის მინაწერი მოგვითხრობს; ეს წიგნი ქართველმა ბატონიშვილებმა სპარსეთის ბაზარზე იყიდეს და კვლავ ვარძიას დაუბრუნეს.

ვარძია, როგორც კულტურის კერა, ამდიდრებდა ეროვნულ საშწიგნობრო საგანძურს, ავითარებდა ქართულ ლიტერატურულ აზროვნებას, ტრადიციულად მისდევდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

1203 წელს საქართველოს ლაშქარს მძიმე და გადამწყვეტი ბრძოლა მოუხდა რუმის სულთანის რუქნადინის ოთხას ათასიანი ჯარის წინააღმდეგ. ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება ვარძიის სახელს დაუკავშირდა. თამარ მეფემ ხომ ამ ბრძოლის წინ საქართველოს ლაშქარი ჯავახეთში შეკრიბა და ბრძოლის ველზე ვარძიის სახელით დალოცვილი გაისტუმრა.

ამ ბრძოლის დროს თამარს ვარძიასა და ოძრხეს ყოფნისას თან ახლდა იოანე შავთელი, რომელმაც ბასიანში ქართველთა გამარჯვებას მიუძღვნა თავისი დიდებული ნაწარმოები.

1210 წელს ასევე ვარძიის „სასწაულმოქმედის“ სახელით იმარჯვებს საქართველოს ლაშქარი სპარსეთში. უკვე ამ ეპიზოდური ცნობებიდან მკვეთრად ჩანს, რომ ვარძიის რელიგიურ-პოლიტიკური ძეგლი, ქვეყნის მთავარი სულიერი ხატია, რომელიც დიდ მორალურ გავლენას ახდენდა საქართველოს მოსახლეობაზე და განუმტკიცებდა მას საგმირო-საფალავნო სულს უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში.

მატიანეებში რომ ვარძიის ეროვნული მნიშვნელობის რეალური სურათია აღბეჭდილი, ამას თამარის ეპოქაში მცხოვრები ცნობილი მეცნიერის იოანე ვანაკანის წერილობითი ცნობის ანალიზიც ადასტურებს, სადაც ვარძიის ჯვრის ეროვნული მნიშვნელობა ქართულ ანბანთანაა ეთანაბრებული.

ვარძია კლდის ბუნებრივ მიუდგომლობასთან ერთად კლდის სიღრმეში არსებული ერდო-გვირაბებითა და კლდის სახლებთან საგანგებოდ მოწყობილი თავდაცვითი სისტემებით იყო გამოკვეთილი და გამაგრებული, რაც მათ სრულიად უჩინარსა და გასაიდუმლოებულს ხდიდა. ვარძია, როგორც გამაგრებული თავშესაფარქვაბი, იცავდა ეროვნულ-კულტურულ საგანძურს და ქართველობის ფიზიკური განადგურებისაგან.

დგება მონღოლობის ბატონობის ძნიმე ხანა, ვარძიის ეროვნული მნიშვნელობა და მისი გავლენა კვლავ საგრძნობია. XIII საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც მონღოლთა ნოინი ნავრუნი აოხრებს საქართველოს ეკლესია-მონასტრებს, ვარძიის მონასტერი ისევ წინა პლანზეა. იგი სასწაულებრივ გადაურჩა დარბევას. კვლავ ძნიმე სურათი ცხოვრებისა — მონღოლები საქართველოში აუქმებენ საეკლესიო საქმიანობას. ვარძიის წინამძღვარი, ტრადიციულად საწოლის მწიგნობარი — მწიგნობართუხუცესის მოადგილე საეკლესიო-სამონასტრო საქმიანობაში საერო ხელისუფლებიდან, გვერდში უდგას საქართველოს კათალიკოსს, მასთან ერთად მიემგზავრება ილხანს ამ დიდი ეროვნული საქმის მოსაგვარებლად და წარმატებით აგვირგვინებს კიდეც.

XIII საუკუნიდან სამცხე-საათაბაგოს სეპარატული მდგრეკილება ძმიმედ დაეწვა ქვეყანას და მეფის ერთგულ ვარძიის სავანეს. დროდადრო მცხეთის საკათალიკოსოსაგან იძულებით გამიჯნულს საფარის მონასტერთან ერთად ანტიოქიისა თუ აწყურის საეპისკოპოსოს დამორჩილება უწევს: ამ საეკლესიო-პოლიტიკური ბრძოლის არაერთი საინტერესო საბუთია შემონახული.

XV-XVI საუკუნეები ქვეყნის შინაგანი რღვევისა და ირან-თურქეთის მხრივ საქართველოს დაპყრობისადმი უკიდურესად აგრესიული მისწრაფების ხანაა. ამ ხანებში ვარძიას უხდება თავდაცვითი ბრძოლების გადატანა. იგი საქართველოს მეფის სამედო დასაყრდენია ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

1551 წელს ვარძია აოხრა შაჰთამაზმა. ამ ბრძოლის მონაწილე ცნობილმა სპარსელმა მემატიანემ ასან ბეგ რუმლუმ თავისი ნაწარმოების „უმშვენიერესი ისტორიათაგანის“ ფურცლებზე აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა ვარძიის აღწერასა და იქ გმირული ბრძოლის შედეგებს. ვარძია ერთადერთი ქრისტიანული ძეგლია, ასე ვრცლად აღწერილი ამ მრავალტომეულში. ეს ბრძოლა ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძესაც აქვს მოთხრობილი.

1578 წელს მესხეთი თურქეთის უღელქვეშ მოექცა და ეკლესია-მონასტრებში საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწეობა გაუქმდა. 1829 წელს სამცხე-ჯავახეთის ნაწილი და ვარძია კვლავ საქართველოს უბრუნდება. მცირე სამონასტრო ცხოვრებამ ოდნავ კიდევ გაიღვიძა ამ დიდებულ სავანეში...

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ვარძია მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი ძეგლია. მასთან მუზეუმ-ნაკრძალის დაარსება და მრავალი წლის მანძილზე მისი მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში გაერთიანება ამის ნათელი დასტურია.

ვარძიის ხუროთმოძღვრის მხატვრული ჩანაფიქრის განსაზღვრისათვის აუცილებელი გახდა ძეგლის მთლიანი ფიქსაცია, ნახაზები გეგმიურ-სივრცობრივი სტრუქტურისა და საფასადო მხრის დამუშავება, რადგან ვარძიის ცამეტსართულიანი ფასადი, რომელიც გამოკვეთილია თაოვანი რიგების პორიზონტალური განლაგებად ჩამოშლილია. ვარძია ნახაზებში აღდგა და დაიწყო ვარძიის ხუროთმოძღვრული და მხატვრული პრინციპების ახსნა, რამაც საქართველოს სხვა კლდის ძეგლთა გამოვლენა და დამუშავებაც მოითხოვა.

თანამედროვე პირობებში ვარძიამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გამოქვაბულთა შესწავლას, კვლევის პროცესში წარმოშვა მეცნიერების ახალი მიმართულება — სპელეოსტიკა — გამოქვაბულთმცოდნეობა. ხოლო სპელეოსტიკურმა კვლევა-ძიებამ ქართული სამონაზონო ცხოვრების სრულიად ახალი ქვაბოვანი ძეგლები გამოავლინა. მათი მეშვეობით მიღებულმა მეცნიერულმა გააზრებამ ძველი ქართული ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი პრობლემები სრულიად ახალი თვალით წარმოაჩინა, რაც თვით ვარძიის არქიტექტურული ანსამბლის მხატვრული აზროვნების გახსნის საფუძველია. მან ახსნა ვარძიის ადგილი კლდის ხუროთმოძღვრებისა და ქართული კულტურის ისტორიული განვითარების გზაზე.

ვარძიის მიდამოებში, მდინარე მტკვრის ხეობაში და ამ ისტორიულ ჯავახეთის ქვეყანაში შესწავლილმა კლდის საერო საცხოვრებლებმა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით, კლდეში ნაკვეთი გვირგვინიანი დარბაზული და ბოსლიანი კლდის სახლების შესწავლით ვარძიის ანსამბლი გამოჯნა საერო და სამონასტრო კომპლექსებად. ხოლო ქვაბოვანმა სამონაზონო კომპლექსების შესწავლამ ვარძიის მიდამოებში, ზედაზენზე, შიომღვიმესა და დავით გარეჯის ლავრებში დაადასტურა მძლავრი მეუდაბნოეობა საქართველოში, რაც ქვაბოვანი სამონაზონო სადგომებით, უდაბნო-ძეგლებით არის წარმოდგენილი IV-VII საუკუნეებში და ზოგადად ქართული არქიტექტურის განვითარების კლასიკურ ხანას ემთხვევა. ქართული მეუდაბნოეობის აღმოჩენამ „ასურელ მამათა“ მეუდაბნოეობითი მოღვაწეობაც დაადასტურა და ესე იგი გაირკვა, რომ იოანე ზედაზნელს მეთაურობით ეს მოღვაწენი საქართველოში მეუდაბნოების დამნერგავნი და გამავრცელებლები არიან და არა სამონასტრო ცხოვრებისა, როგორც მიღებულია სპეციალურ ლიტერატურაში. „ქვაბითია“ და „უდაბნოდ“ მოხსენებული ძეგლებიც უკვე ამ ტერმინით თარიღდება. მეუდაბნოეობის გამოვლენით ქართული სამონასტრო ცხოვრება VIII-IX საუკუნეებს დაუკავშირდა, როგორც სამონაზონო ცხოვრების მეორე განვითარებული საფეხური. ისიც გაირკვა, რომ მონასტერი წარმოადგენს ქვითკირის ნაგებობათა ანსამბლს და რომ ეს ანსამბლები უდაბნო ძეგლებთან შეიქმნა. ამის შედეგად მივიღეთ უდაბნო-მონასტრები. ამ დროიდან ქვაბოვანი დამოუკიდებელი ანსამბლების კვეთის ტრადიცია ირღვევა, ესე იგი სამონასტრო ცხოვრება მეუდაბნოეობის წიაღში წარმოშვა და მისი დამნერგავი არიან მეუდაბნოენი გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები. აქედან მოკიდებული ქართული არქიტექტურის მეორე აუკავების პერიოდში მძლავრი სამონასტრო ცენტრები იქმნება, რომლებიც, როგორც ვთქვით, ქვითკირის ნაგებობათა ანსამბლებს წარმოადგენენ.

და მონასტრების ქვითკირით შენების ხანაში ძლავრი სამონასტრო ანსამბლი კვლავ კლდეში გამოკვეთეს. რა ხდება?!.. ეს არის ქართულ არქიტექტურაში რენესანსული გააზრების შედეგი. მონასტრის კლდეში გამოკვეთის სხვანაირი ახსნა არ მოეძებნება! ამიტომ ვარძია „კლდის მონასტერი“ კლდის სახლებითა და პალატებით, განსხვავებული „უდაბნოსაგან“, შერთა ქვაბოვანი სნაკებით. დიახ, პირველად ქართულ არქიტექტურაში ეს ჰუმანისტური მოძრაობა ვარძიის ანსამბლში გამოვლინდა. იგი აღორძინებაა, ერთი მხრივ, როგორც კლდეში გამოკვეთილი რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი, ანტიკური უფლისციხის მსგავსად, მეორე მხრივ, როგორც კლდის სამონაზონო საცხოვრებელი უდაბნო ძეგლების ანალოგიით. მაგრამ ბუნებრივია, ეპოქის შესაბამისად, უდაბნო ძეგლთა „იმქვეყნიური“ ცხოვრების ასკეტური იდეალების საპირისპიროდ ვარძიის არქიტექტურაში, მის თაოვან საფასადო მხარესა და გეგმიურ-სივრცობრივ სტრუქტურაში „ამქვეყნიური“ ცხოვრების იდეალებია ჩაქსოვილი. ეს მონასტერში საერო სოციალური მოვლენების შეჭრის შედეგიცაა. ეს არის რეალისტური ჰუმანიზმი, რომელმაც პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა ვარძიის კლდის საცხოვრისებში.

უდაბნოთა ჩვეულებრივი ხალხური ხასიათის მშენებლობაზე დაფუძნებული ვარძიის ხუროთმოძღვრის შემოქმედება უკვე პროფესიულია. იგი უპირველესად მონუმენტალისტია. ანსამბლის ვრცელი მრავალსართულიანი ფასადი თაღების ულუკუნი სისტემით, ანსამბლს მშვიდ, საზეიმო და მონუმენტურ იერს ანიჭებს. მთავარი არქიტექტურული ელემენტი, რომელიც გამოყოფს და განასხვავებს ვარძიას მის წინამორბედ უდაბნო-მონასტრებისაგან, არის ფასადზე გახსნილი თაღებით გაფორმებული წინკარი, კარაპანი; მას ვარძიის ანსამბლში ჩაქსოვილი ისტორიულ-არქიტექტურული და ესთეტიკური საკითხების გამოსაკვლევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კარაპანის თაღოვანი საფასადო სისტემა და კამაროვანი ინტერიერი მთელი ანსამბლის არქიტექტურის ლაბიმოტივია, როგორც ანსამბლის საზეიმო არქიტექტურულ-ესთეტიკური ნაწილი. იგი გვიხსნის კარაპანის უკან კლდის სიღრმეში არსებულ სათავსოთა ფასადზე უხილავ სივრცობრივ გადაწყვეტას, მის აგებულებას. ეს არის გასაღები ანსამბლის ჰიპერბოლური გადაწყვეტისა, რომელიც ფაქტობრივად სრულიად მარტივ გეგმიურ-სივრცობრივ კომპოზიციას წარმოადგენს კლდის სიღრმეში, ტაძრის გარშემო გვირაბებით ურთიერთდაკავშირებული ტერასულად განლაგებული საცხოვრისები აქა-იქ დართული სამლოცველოებით. კარაპანი გამოხატავს ანსამბლის არქიტექტურულ დედააზრს, მის მხატვრულ სიდიადეს და სულისკვეთებას, მონასტრის შიგნით რომ სუფევს საერო ცხოვრების დინებათა ზეგავლენით.

ვარძია ნათელი სურათია ადამიანის დაუცხრომელი ენერგიისა და შემოქმედებისა. დიდი ხელოვანი, ხუროთმოძღვარი თავის ეპოქალურ ჩანაფიქრს ბრწყინვალედ ახორციელებს, მიზანს აღწევს. ხუროთმოძღვრებაში გატარებული ეს ჰუმანიზმი შესანიშნავად დადასტურდა ვარძიის ცხოვრების ისტორიული განვითარებითაც.

ვარძიის კლდის სახლების არქიტექტურა მკაფიოდ გადმოსცემს ეპოქის საერთო სულისკვეთებას. მისი არქიტექტურის მაგალითით ჩანს, რომ სამონასტრო ცხოვრების წესი რუსთაველის ეპოქაში შესამჩნევადაა შეცვლილი და უფრო მეტად, ვიდრე ეს XIII საუკუნის „ვაჰანის ქვაბთა“ ტიბიკონით არის დადასტურებული. ვარძიის ხუროთმოძღვარს კლდის სახლი ადრეული ქვაბისაგან განსხვავებით „იმქვეყნიური“ ცხოვრების ფერხულში ჩაბმული, ასკეტიზმისაგან თავისუფალი ადამიანისათვის (თუმცა მაინც მონაზენის) შეუქმნია თაოვანი პალატებითა და სამეურნეო სათავსებით. აქ ცალკეული სახლებსა და მთელ ანსამბლში აშკარად იგრძნობა დინამიკური ძალა, რაც გამოხატულია ინტერიერის მხატვრულ გაფორმებაში — სადა სიბრტყეთა სუფთა, ხორკლიანი ფაქტურა, სხვადასხვა სიდიდისა და სიღრმის ნიშები და თაღები. ვარძიის სახლები ჰარმონიულადაა გაერთიანებული ერთ ანსამბლად და მის არქიტექტურაში გამეფებულია სისადავის სიდიადე.

ეს ხუროთმოძღვრის მიერ თავისი ამოცანის რაციონალურ-რომანტიკული, პროფესიული გაბრწყინების შედეგია. მაღლა სივრცეში გატანილი ვარძიის ანსამბლი თითქოს ზღაპრულ შთაბეჭდილებას ქმნის. ეს პირობითობა, მოულოდნელობა და რომანტიკული შთაბეჭდილება ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი ჩანაფიქრია.

ვარძიის ხუროთმოძღვარმა ვარძიის არქიტექტურით „მიწიერი“ და „ზეციური“ იდეალების დაახლოება სცადა. მან ჩაკეტილი სამონასტრო ცხოვრების საწინააღმდეგოდ, ფასადის თაღები გახსნა და სამონასტრო ცხოვრება გარეთ, სამზეოზე გამოიტანა, ხალხთან დააახლოვა. თუმცა ხუროთმოძღვარი არსებული ცხოვრების ნორმების გთვალისწინებით ქმნის ძეგლს — ციდან გადმოკიდებული ვარძიის ანსამბლით გაძლიერებულია მისი საკულტო დანიშნულება, მისი სიდიადე და გრანდიოზულობა.

ვარძია, როგორც რელიგიურ-პოლიტიკური და ეპოქის შესაბამისად ინტერნაციონალური ძეგლი ამაღლდა არა მარტო ქართველთა, არამედ კავკასიელ ხალხთა შეგნებაში მათი შეკავშირებისა და ბორკოზე კეთილის გამარჯვების სიმბოლო.

...მემატიანის აღფრთოვანება, „რომელი ყოვლისაგანცა მოთხრობა ძნელ არს“ და იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი“-ო ანუ მისეული განმარტებით „სასწაულთა — მოქმედება“, ამის დამადასტურებელია.

ვარძია და „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის ერთი ზოგადი წრის ჰუმანისტური ძეგლებია. ორივე ძეგლი თამარ მეფის შთაგონებითაა გაზრებული. ორივე ძეგლმა ქართველის თვალში უკვდავება დაიმსახურა. ორივემ საუკუნეებს გაუძლო. ეს იუბილე ქვაკუთხედი უნდა გახდეს მომავალში ვარძიის განსაკუთრებული, უფრო მასშტაბური მეცნიერული კვლევა-ძიებისა. „ვეფხისტყაოსანი“ თავის რვაასი წლისთავს მსოფლიო აღიარებით შეეგება, ვარძია კი მსოფლიო კულტურის სარბიელზე რვაას წლისთავზე იდგამს ფეხს.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ



ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ

Ш. ᲐᲘᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ).

ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲡ სამოცი წლის შემდეგ ეკრანებზე კვლავ გამოჩნდა რეჟისორ გიორგი მაკაროვის მიერ ცნობილი ამერიკელი დრამატურგის ჯ. ო' ნილის პიესის „სიყვარული თელებქვეშ“ მიხედვით საქართველოს სახკინომრეწვმა გადაღებული ფილმი „ქალი ბაზრობიდან“. კინოფილმი აღადგინა ქართველ კინემატოგრაფისტთა ჯგუფმა. მაშინ ნორჩი, დღეს კი ოთხმოცი წლის მსახიობი ბელა ბელეკაია ისეთსავე მღელვარებას განიცდის ახლანდელი პრემიერის წინ, როგორც ფილმის პირველი დემონსტრაციის დროს. იგი ფილმის მონაწილეთაგან ერთადერთი მსახიობია, რომელიც ამჟამად ცოცხალია.

ფილმში გადაღებული არიან აგრეთვე აკაკი ვასაძე, შალვა ღამბაშიძე, ანდრო მურუსიძე...

— საინტერესოა ამ ფილმის ბედი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ჯგუფის ხელმძღვანელმა, კინომცოდნემ და რეჟისორმა გოგი დოლიძემ. — იგი იყო ო' ნილის ნაწარმოების პირველი ეკრანიზაცია — თვით ამერიკელებმაც კი მისი ეკრანული ვარიანტი მხოლოდ 1958 წელს შექმნეს სოფი ლორენისა და ანტონი პერკინსის მონაწილეობით.

სურათის აღდგენაზე დიდხანს მოგვიწია მუშაობა. იგი ხომ თითქმის უკვე აღარავის არ ახსოვდა. ძველი ფილმი სსრ კავშირის სახფილმფონდის არქივში ორმოცდაათი წელი იდო. ამასთან კადრების თანამიმდევრულობა მასში დარღვეულია, არ დარჩენილა სცენარი, დოკუმენტაცია, ტიტრები კი. ერთ-ერთ კინოარქივში აღმოვაჩინეთ წარწერები ლენტის კადრებისათვის. მოხდა მათი რედაქტირება, სისტემაში მოქცევა ითარგმნა ქართულად. ხოლო კომპოზიტორმა ჯ. ადამაშვილმა მუსიკა დაწერა. ედიშერ მაღალაშვილმა, რომელიც რუსთაველელთა სპექტაკლში „სიყვარული თელებქვეშ“ მთავარ როლს ასრულებდა, მთელი ფილმი გააზმოვანა.

გიორგი მაკაროვის შემოქმედება ქართული კინემატოგრაფის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ფურცელია. თავიდან იგი ცნობილი რეჟისორის ივანე პერესტიანის ასისტენტი იყო, შექმნა ბრწყინვალე საეკრანო სანი ცნობილ ფილმში „წითელი ეშმაკუნები“. გიორგი მაკაროვისათვის ფილმი „ქალი ბაზრობიდან“ დებიუტი იყო როგორც დამდგმელი რეჟისორისათვის. მან შესანიშნავი ნაწარმოები შექმნა, რომელიც გამოირჩევა ძიებით.

„ქალი ბაზრობიდან“ მეთექვსმეტე ფილმია, რომელსაც ახალი სიცოცხლე მიანიჭეს გოგი დოლიძემ და მისმა კოლეგებმა. კინოს ისტორიკოსისა და რეჟისორის კეთილშობილური საქმიანობის მიზანი ის არის, რომ თანამედროვეთ გააცნოს ეროვნული კინემატოგრაფის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე შექმნილი ფილმები.

ᲛᲘᲩᲥᲔᲤᲐᲠᲔ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ პიანისტებს შორის საპატიო ადგილი უკავია რესპუბლიკის სახალხო არტისტს, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს მარინე მდივანს. მის ხელოვნებას იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი ფართო მასშტაბების მუსიკოსია: პიანისტი — გასტროლიორი, პედაგოგი, ანსამბლისტი, საბჭოთა კომპოზიტორების მთელი რიგი ახალი ნაწარმოებების შემსრულებელი.

მარინე მდივანი ქართული და მოსკოვის პიანისტური სკოლის აღზრდილია, მისი შესრულება გამოირჩევა დინამიზმით, ტექნიკური სრულყოფილებითა და არტისტიზმით, რეპერტუარი ვრცელი და მრავალფეროვანია.

მარინე მდივანი დაიბადა ცნობილი ქართველი ჭადრაკის ოსტატის ვიქტორ გოგლიძის ოჯახში. 1965 წელს დაამთავრა თბილისის ცენტრალური სამუსიკო სკოლა რესპუბლიკის დასახურებული პედაგოგის ევგენია ჩერნიავსკაიას ხელმძღვანელობით. ამ შესანიშნავი პედაგოგის კლასში თავის დროზე მრავალი ცნობილი ქართველი მუსიკოსი აღიზარდა.

კარგად მახსოვს მარინეს გამოსვლა 1955 წლის გაზაფხულზე ჩერნიავსკაიას კლასის კონცერტზე, რომელმაც დააგვირგვინა მისი მოწაფეობის პერიოდი. მარინემ ნამდვილი ვირტუოზული გაქანებით და ბრწყინვალებით შეასრულა გუნო-ლისტის „ვალსი“. უკვე მაშინ შეიძლებოდა გვეწინასწარმეტყველა მისთვის ნათელი არტისტული მომავალი, რაც „ახალგაზრდა პიანისტმა მალე საქმით დაადასტურა. 1957 წელს მარინემ, რომელიც ამ დროს მოსკოვის კონსერვატორიის მე-3 კურსის სტუდენტი იყო, ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის მსოფლიო ფესტივალზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მარინე მეცადინეობდა ჯერ პროფესორ მილშტეინთან, შემდგომ კი სახელგანთქმულ საბჭოთა პიანისტთან ემილ გილელსთან. მასთანვე გაიარა ასპირანტურის კურსიც. არტისტული ფორმირების ამ პერიოდში მარინემ უდავოდ განიცადა თავისი განთქმული მასწავლებლის საშემსრულებლო ხელოვნების გავლენა. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, დაკვრის მასშტაბურობა, კოლოსალური დინამიკა, ვირტუოზული ელვარება.

ᲨᲢᲠᲘᲮᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პირველად საერთაშორისო აღიარება მარინე მდივანმა მოიპოვა 1961 წელს პარიზში მარგარიტა ლონგის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე, სადაც მას პირველი პრემია მიენიჭა.

პარიზში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მარინე მდივანი ეწვია თავის მშობლიურ ქალაქს და კონცერტი გამართა. ამ კონცერტმა თბილისელ მუსიკის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, კონსერვატორიის დიდ დარბაზში თავისუფალ ადგილს ვერ ნახავდით. ახალგაზრდა პიანისტმა ჩაიკოვსკისა და პროკოფიევის საფორტეპიანო კონცერტები შეასრულა. თბილისელთათვის ეს იყო ნაცნობი პიანისტის „ხელმეორედ აღმოჩენა“, იმდენად ძლიერი და ნათელი იყო მისი დაკვრით მიღებული შთაბეჭდილება. პირველივე ტაქტებიდან პიანისტმა დაიპყრო მსმენელები შესრულების ბრწყინვალეებითა და მასშტაბურობით, ტექნიკური ფარატის სრულყოფილებით.

ჩაიკოვსკის ცნობილი საფორტეპიანო კონცერტის შესრულება სამართლიანად არის მიჩნეული მარინეს საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთ მწვერვალად. აი, რას წერდა ფრანგი მუსიკალური კრიტიკოსი მისი პარიზული ტრიუმფის შემდეგ: „ემილ გილელსის მოწაფემ მეტკვიდრეობით მიიღო მისგან გამორჩეული ოსტატობა, მძლავრი ნებისყოფა და საოცარი სისადავე, მუსიკისადმი ფაქიზი მიდგომა და ჩინებული ტექნიკა. ვისაც მოუსმენია, როგორ უკრავს იგი ჩაიკოვსკის კონცერტს, არასოდეს დავიწყებს მას და არ დაეჭვდება ახალგაზრდა პიანისტის მომავალში“.

წარმატებით დაგვირგვინდა მარინე მდივანის გამოსვლა 1962 წელს მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსზე, სადაც მან მეოთხე პრემია დაიმსახურა.

60-იან წლებში პიანისტის საკონცერტო მოღვაწეობა ინტენსიურად ვითარდება და ფართო მასშტაბებს აღწევს. იგი კონცერტებს მართავს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის მრავალ ქვეყანაში. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მის გასტროლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კრიტიკოსებმა მისი დაკვრა მსოფლიო პიანიზმის კორიფეების ხელოვნებას შეადარეს. რეპერტუარის ბირთვს შეადგენდა ჰაიდნის, ბეთჰოვენის, სკრიაბინის,

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

ვაჩუქოთ ბავშვებს სიხარული

ეს მასწავლებლის მთავარ დანიშნულებად მიიჩნია თბილისის № 1 ბავშვთა სახლის პედაგოგ-აღმზრდელს იმენა მარღიშვილს.

იგი არაჩვეულებრივი ბედის ადამიანია. იმენა და მისი ორი ძმა იოსები და დავითი ბავშვთა სახლში აღმოჩნდნენ აღსაზრდელად და მათთვის ზრუნვა სახელმწიფომ იკისრა. დღეს მათ სხვებზე უკეთ იციან და აფასებენ ადამიანების გულითადობასა და ალერსს.

პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კიდლებს დაუბრუნდა. დღეს იმენა მარღიშვილის მეურვეობაშია ოცდათი ბავშვი, მათ ძალიან უყვართ თავიანთი დამრიგებელი, რომელიც მათთვის არ იშურებს თავისი გულის სითბოს. ჩვენთან ხშირად მოდიან ყოფილი აღზრდილები და გვიამბობენ, თუ როგორ წარიმართა მათი ბედი, გვეკითხებიან რჩევა-დარიგებას. — ამბობს ბავშვთა სახლის დირექტორი ნონა მაღრაძე. — აი დღესაც, მასწავლებლის დღის წინ, იმენას ეწვივნენ ძვირფასი სტუმრები — მისი აღზრდილები, რომლებსაც აქამდე გამოპყოლიათ საყვარელი მასწაულებლის გულის სითბო.

სურათზე: იმენა მარღიშვილი თავის აღსაზრდელებთან ერთად.

გ. ცაგარლის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დავიცვათ მშვიდობა

— **იაპონელებს**, რომლებმაც პირველებმა განიცადეს ატომური დაბომბვის მთელი საშინელება და შედეგები, ყველაზე უკეთ ესმით, რა კატასტროფას მოუტანს მსოფლიოს აღვირახსნილი გამალებული ბირთვული შეიარაღება, ამერიკის შეერთებული შტატები რომ ეწევა. აი, რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივებას ყველაზე ფართო დადებითი რეზონანსი მოჰყვა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას შორის, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში იაპონიის ძენძიკო-ძენიცუს სატრანსპორტო პროფკავშირების დელეგაციის ხელმძღვანელმა, ძენიცუს აღმასკომის წევრმა ნარა ნობუიუკიმ.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით. რამდენიმე დღის განმავლობაში იაპონელი პროფკავშირული მოღვაწენი ეცნობოდნენ რესპუბლიკის ცხოვრებას, მის ღირსშესანიშნაობებს.

ამირან აბშილავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ამირან ალექსანდრეს ძე აბშილავა.

ქართველ მწერალთა რიგებს მოაკლდა ღირსეული თანამოკალამე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართული ლიტერატურის სამსახურს შეალია.

ამირან აბშილავა დაიბადა 1920 წლის 5 მაისს ცხაკაიაში.

1939 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, პარალელურად სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, ეუფლებოდა რეჟისორის პროფესიას.

ლიტერატურულ სარბიელზე ამირან აბშილავა დიდი სამამულო ომის დროს გამოვიდა. მას შემდეგ ამირან აბშილავას ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, იდგმებოდა თეატრების სცენაზე, ამირან აბშილავა ლექსების, პიესების და პუბლიცისტური წერილების ოცამდე კრებულის ავტორია.

მისი პოეტური კრებულები „სიმღერა მშობლიურ ქალაქზე", „ფიქრები პირველ სიყვარულზე", „კარდენახული ბალადა" და სხვები მშობელი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით არის გამსჭვალული.

ამირან აბშილავა ნაყოფიერად მოღვაწეობდა დრამატურგიაში. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა ჩვენი რესპუბლიკის თეატრების სცენაზე. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად პიესას „ადამიანი დაბრუნდა", რომელიც დაიდგა სომხურ, რუსულ და უკრაინულ თეატრებშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამირან აბშილავას პუბლიცისტური მოღვაწეობა. მძაფრი პუბლიცისტური პათოსით გამსჭვალული ნაწარმოებებით მას თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა ჩვენს დიად აღმშენებლობაში. სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება ვრცელი პუბლიცისტური ნარკვევი „მოვდივარ ფაზისიდან", რომელიც მწერალმა ფოთის ექსპერიმენტს მიუძღვნა.

ეს ნარკვევი იქცა ფოთის — უძველესი ქართული სანავსადგურო ქალაქის ისტორიისა და დღევანდელობის მატიანედ. ამიტომაც იყო, რომ მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემია — „ხუთწლედის მატიანე" მიენიჭა. საგულისხმო იყო ის ფაქტიც, რომ ამირან აბშილავამ პრემიის მთელი თანხა ნიკო ნიკოლაძის მიერ დაარსებულ ფოთის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა წიგნის ფონდის შესავსებად.

ამირან აბშილავას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და თანამოკალმეების გულებში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში

8 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემას. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ ბ. დ. პიადიშევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეი უკვე წელწადზე მეტია მოქმედებს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, რომელიც საბჭოთა კავშირმა დააწესა.

სსრ კავშირი მზად არის დადოს ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის შესახებ. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს ხელმძღვანელთა რეიკიავიკის შეხვედრაზე საკვანძო შესაძლებელია მიღწეულ იქნეს შეთანხმებული მითითებანი ბირთვული შეიარაღების ორი-სამი ასპექტის გამო შეთანხმებათა პროექტების შემუშავების თაობაზე, მათ შორის ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ეს უკვე დიდი ხნის მომწიფებული, გადასაწყვეტად გამზადებული საკითხია. ძნელი არ არის მოვრიგდეთ ამ საკითხში, თუ გამოვიჩენთ პოლიტიკურ ნებას, პასუხისმგებლობას, სურვილს — გადავდგამთ კონკრეტული ნაბიჯი გამალებული შეიარაღების შეზღუდვის გზაზე. გვინდა, იმედი ვიქონიოთ, რომ საბოლოო ანგარიშით ამ საკითხშ. ამერიკის მხარე რეალისტურ პოზიციას დაადგება.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ი. ვ. ლებედევმა პრესკონფერენციაზე ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების ჯგუფი ეწვია სემიპალატინსკის რაიონში მდებარე ბირთვულ პოლიგონს. უდიდესი დეპეშათა სააგენტოების, ტელეკომპანიების, რადიოს და გაზეთების კორესპონდენტები თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა გამოსაცდელი პოლიგონი დუმს. პოლიგონის შენობა-ნაგებობათა და მოწყობილობის მდგომარეობა მოწმობს, რომ ისინი კარგა ხანია არ გამოუყენებიათ. ჟურნალისტებმა საკუთარი თვალით ნახეს, რაოდენ დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი გამოცდისათვის მოსამზადებლად, რაოდენ დიდი ტვირთია ეს სახელმწიფოებისათვის, რამდენი სახსრები დაიზოგებოდა მშვიდობიანი მიზნებისათვის, გამოცდა რომ შეწყვეტილიყო. პოლიგონის ყველა ობიექტზე, სადაც იყვნენ ჟურნალისტები, მათ შესაძლებლობა მიეცათ ეხმარათ ფოტოაპარატები და კინოკამერები.

პრესკონფერენციაზე მოისმინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ მ. ბ. გოხბერგის ინფორმაცია სემიპალატინსკის რაიონში საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და ამერიკის შეერთებული შტატების ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტმა, აქ ეწყობა ერთობლივი ექსპერიმენტი ბირთვული გამოცდის მოუწყობლობისადმი კონტროლისათვის. ჟურნალისტები იყვნენ ლაბორატორიებში, სადაც ამერიკელი მეცნიერები მუშაობენ. დაათვალიერეს მარეგისტრირებელი აპარატურა, ჰაბურღილი, რომელშიც სულ მალე სეისმური ხელსაწყოები დაიდგმება. გაიმართა საუბარი ექსპერიმენტის მონაწილე ამერიკელ მეცნიერებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ საბჭოთა პოლიგონის რაიონში მათი ყოფნისას ბირთვული აფეთქებანი აქ არ მოწყობილა, მაგრამ დაიფიქსირეს ნევადაში მოწყობილი აფეთქებანი.

ბირთვულ პოლიგონზე ჟურნალისტთა მიწვევა ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა კავშირის კეთილ ნებას, ბირთვული განიარაღების ინტერესებისათვის მისი მოქმედების სიწრფელეს.

პრესკონფერენციაზე უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს. (საკდესი).

4 ოქტომბერი ● საკდესი იუწყება

ინფორმაცია

ფაქტები • მოვლენები

მთელი მსოფლიო ინფორმაციებს

ნიუ-იორკი. მონღოლეთი მეაღლმება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ უმაღლეს დონის შეხვედრას, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე წარმოგზავნილი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. დუგერსურენმა. იმედი გვაქვს, რომ ეს შეხვედრა გზას გაუკვალავს პრაქტიკულ მორიგებებს ბირთვულ და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის შეზღუდვისა და შემდგომი ლიკვიდაციის, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის დაუშვებლობის დარგში, აღნიშნა მინისტრმა.

ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. იგლესიასმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეიკიავიკის მომავალი მოლაპარაკება მოწოდებულია პოზიტიური წვლილი შეგატოს განიარაღების საქმეს. ბირთვული განიარაღების საკითხი უაღრესად საჭიროა ადამიანობრივი ბედნიერებისა და ცივილიზაციის დაცვა, ოღონდ ეს ბედნიერება ერთ ადგილზე ან ორ ადგილზე არ უნდა ატყდეს, რომ მასში ვერ იქნებიან გამარჯვებულნი. ახლა მეეკა ადამიანობა იმედით მოელის, რომ ისლანდიის დედაქალაქში გამართული შეხვედრა მოიტანს ეფექტიან შეთანხმებას ბირთვული განიარაღების დარგში, თქვა ე. იგლესიასმა.

ტოკიო. ახალი შეხვედრა, წერს გაზეთი „**რუდე პრავო**", შემთხვევითი შედეგი კი არ არის, არამედ სსრ კავშირის მშვიდობიმოყვარული საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი დასტურია.

ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეების მოქმედების მიუხედავად, რომლებიც ცდილობენ გაფუჭონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა და მოწამლონ საერთაშორისო ატმოსფერო უმაღლესი დონის შეხვედრის წინ, საბჭოთა კავშირმა კვლავ დაამტკიცა, რომ უშუალოდ არის დაინტერესებული პროდუქტიული დიალოგით. თანამედროვე ვითარება იმის მომსწავლებელია, რომ რეიკიავიკში პოზიტიური შედეგების მიღწევა ძნელი საქმე იქნება. მთელი პლანეტის მილიონობით ადამიანი მოელის სასიკეთო შემობრუნებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, წერს გაზეთი.

რომი. რეიკიავიკის შეხვედრა შეიძლება დიდმნიშვნელოვანი მომენტი გახდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, განაცხადა დღეს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. ანდრეოტიმ. მან აღნიშნა, რა მუყაითობა გამოიჩინა ამ დღეებში მსოფლიოს ორმა უდიდესმა სახელმწიფომ დიალოგის დროს, რა მოქნილად მოქმედებდნენ შეხვედრის ორგანიზაციის გზაზე არსებულ დაბრკოლებათა აღმოსაფხვრელად.

რაბათი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მომავალი შეხვედრა, წერს მაროკოს გაზეთი „**ალ-ბაიანი**", ახალ შანსს აძლევს კაცობრიობას, რათა მიაღწიოს რეალურ პროგრესს ყველგვარი ბირთვული გამოცდის სრული შეწყვეტისა და შეიარაღების შემცირების საქმეში, უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობა. ცხადია, აღნიშნავს გაზეთი, რომ ამ შეხვედრის დროს ვერ გადაწყდება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის რთული პრობლემების მთელი კომპლექსი. მაგრამ ორი სახელმწიფოს მეთაურთა მომავალი შეხვედრა, წერს „ალ-ბაიანი", უკეთესი მომავლის იმედს გვისახავს და იმპულსს ანიჭებს ხალხთა კოლექტიურ ბრძოლას მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

კონგრესმენები ბჭობენ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში გაცხოველებით იხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და პრეზიდენტ რ. რეიგანის მომავალ შეხვედრას, რომელიც 11-12 ოქტომბერს რეიკიავიკში უნდა გაიმართოს.

„უმაღლესი დონის შეხვედრა არ უნდა გახდეს ნულოვანი ანგარიშით თამაში, — განაცხადა კონგრესმენმა ტომ ლენტოსმა. — მაშფოთებს სპეკულაციური მსჯელობა იმის შესახებ, თუ ვინ მოიგო და ვინ წააგო, ვინ და რამდენი ქულა მოიპოვა რეიკიავიკის შეხვედრის მოწყობის შესახებ მორიგების მიღწევის დროს. უმაღლესი დონის შეხვედრა კალთაბურთის მატჩი როდია... საუკუნეში, როცა ორივე ზესახელმწიფოს შეუძლია ერთმანეთის მოსპობა, ორივე ჩვენი სახელმწიფო უნდა იყოს გამარჯვებული ან ორივე დაიღუპოს... სწორი მიდგომის შემთხვევაში, ორივე მხარე, აგრეთვე მთელი მსოფლიო გამარჯვებს, თუ ეს შეხვედრა მოგვიახლოებს უფრო სტაბილურ და ნაკლებად საშიშ თანაარსებობას ჩვენს ერთ ციდა პლანეტაზე".

სენატორმა უილიამ პროქსმაიერმა სენატში გამოსვლის დროს უარყო გამაღელვები ამერიკელების „ალარმისტები", რომლებიც ილაშქრებენ შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში სსრ კავშირთან მორიგებათა წინააღმდეგ იმ საბაბით, თითქოს საბჭოთა კავშირი არღვევდეს არსებულ მორიგებებს. „საბჭოთა კავშირი, — თქვა მან იცავს შეთანხმებებს შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ. ყოველი ობიექტური ანალიზი მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირთან ამ დარგში შეთანხმებებმა არა მარტო თავიდან აიცილა ჩვენს ქვეყანას ბირთვული შეიარაღების ზრდის დამატებითი ტვირთი, არამედ მნიშვნელოვნად შეანელეს კიდეც ომში გამალებული შეიარაღება. ეს იმიტომ მოხდა, რომ შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმებანი შეესაბამება როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე საბჭოთა კავშირის ინტერესებს".

ამავე დროს ამერიკის კონგრესში გაისმის მემარჯვენეთა ხმები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისაგან მოითხოვენ რეიკიავიკის შეხვედრაზე წამოაყენოს საბჭოთა კავშირისთვის მიუღებელი პირობები ან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს ხელმძღვანელთა განხილვის ცენტრში დააყენოს მეორეხარისხოვანი საკითხები და ამრიგად თავი აარიდოს თანამედროვეობის მთავარი პრობლემის — ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრის პრობლემის გადაწყვეტას.

● საფრანგეთი

ჟორჟ მარშე აკრიტიკებს

პარიზი. მკაცრად გააკრიტიკა მემარჯვენე უმრავლესობის ანტახალხური პოლიტიკა სოციალურ-ეკონომიკურ დარგში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ. რადიოსადგურისათვის მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ საფრანგეთის კომპარტია მტკიცედ იბრძვის კაბინეტის კურსის წინააღმდეგ, რომელიც არ ითვალისწინებს საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს, სათუოს ხდის ქვეყნის მომავალს.

საფრანგეთის ერთ-ერთი მინისტრის ამასწინანდელი აღიარება, რომ ქვეყანაში უმუშევართა რიცხვი სულ დიდი 2,5 მილიონამდე შეიძლება შეამციროს, ცხადყოფს, თუ რას გამოიწვევს კაპიტალის სამსახურში ჩამდგარი პოლიტიკა. საფრანგეთის მშრომელები შეუპოვრად იბრძვიან ეკონომიკის დარგში ახალი კურსის განხორციელებისათვის, სოციალური პროგრესის, დემოკრატიის გაფართოებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, აღნიშნა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა.

● ისრაელი

სსდიან ქიმიურ იარაღს

კაირო. როგორც ისრაელიდან მოსული ცნობები მოწმობს, წერს საუდის არაბეთში გამომავალი გაზეთი „**აშ-შარკ ალ-აუსათი**", ამ ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ახლახან მოაწყვეს მანევრები, რომელთა დროს ხვეწდნენ ქიმიური იარაღის გამოყენებისა და მისგან თავდაცვის ხერხებს. განმარტა რა ეს წყრთნა, აღნიშნავს გაზეთი, ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მორდეხაი ფურმა, საჯაროდ განაცხადა. რომ „ისრაელი ემზადება ახლო აღმოსავლეთში ახალი შეტაკებისათვის, ამავე დროს სცდის ქიმიური ომის წარმოებაში თავის შესაძლებლობებს".

ეკონომიკის მილიტარიზაცია უკვე დიდი ხანია გახდა თელ-ავივის სახელმწიფო პოლიტიკის გაუყოფელი ელემენტი. ახალ მოძაკვდინებელ სახეობათა იარაღის შემუშავებისა და წარმოებისათვის მუშაობს ისრაელის სამრეწველო საწარმოთა დიდი ნაწილი. სიონისტთა აგრესიულ ამბიციებს დღეინდაგ აქვს ბევრს მათი სტრატეგიული მოკავშირე — შეერთებული შტატები.

◆ აშშ

78 ხმის უმრავლესობით

ვაშინგტონი, 78 ხმის უმრავლესობით 21-ის წინააღმდეგ ამერიკის კონგრესის სენატმა უარყო ვეტო, რომელიც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაადო კანონპროექტს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღების შესახებ. მანამდე ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო წარმომადგენელთა პალატამ. ამგვარად, კონგრესის ორივე პალატის მიერ მოწონებული კანონპროექტი კანონის ძალას იძენს.

მთავარი ფაქტორი, რომელმაც სასწორი პრეზიდენტის საწინააღმდეგოდ გადახარა, გახდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის არჩევნები, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში უნდა გაიმართოს.

ამერიკელმა კანონმდებლებმა, რომელთა უმრავლესობას გადარჩევები ელის, ვერ გაბედეს ქვეყნის საზოგადოებრიობის აზრის უგულებელყოფა, რომელიც მოითხოვს განახორციელონ ოონისძიებანი აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ, ბოლო მოუღონ რასისტებისათვის სამარცხვინო ხელშეწყობას.

მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მოწონებული კანონპროექტი ითვალისწინებს მხოლოდ შეზღუდულ სანქციებს, რომლებმაც საეჭვოა სერიოზული ზემოქმედება მოახდინოს აპარტეიდის რეჟიმზე. კანონპროექტი აბრკოლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ურანის, ქვანახშირის, ფოლადისა და თუჯის, საფეიქრო ნაწარმის, ზოგიერთი დასახელების სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტს. მისი ერთ-ერთი დებულება კრძალავს პრეტორიისათვის ახალი სესხის მიცემას, კრედიტების განგრძობას ან ამერიკის კომპანიების ახალ კაპიტალდაბანდებებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკაში.

მეორე მხრივ, ამერიკელი კანონმდებლები არსებითად დათანხმდნენ პრეტორიასთან სტრატეგიული ყაჩაღობრფელობის შენარჩუნებას, როცა უარი თქვეს შეეტანათ კანონში მოთხოვნები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ამერიკის მონოპოლიების ყველა ავუარის ლიკვიდაციისა და შეერთებულ შტატებში ალმასებისა და ოქროს — სამხრეთაფრიკული ექსპორტის ძირითადი ნაწილის— იმპორტის აკრძალვის შესახებ. შეერთებული შტატების უდიდესი კორპორაციები, რომელთა აქციებს ბევრი კანონმდებელი ფლობს, კვლავინდებურად გაუწევენ ექსპლოატაციას სამხრეთ აფრიკის მუშათა იაფ შრომას.

● ინდოეთი

თავდასხმის გამოძიება

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი მაჰატმა განდის დაბადების 117 წლისთავის აღსანიშნავი მემორიალური ცერემონიის დროს დელში ჩადენილი ტერორისტული აქციის მთავარი სამიზნე გახდა. ეს ალბარა დღეს თავად დაპატიმრებულმა ტერორისტმა. როგორც საინფორმაციო სააგენტო იუწყება, გამოძიების ცენტრალურ ბიუროში დაკითხვის დროს მან თქვა, „ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მოკვლა მინდოდა".

საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმიწმებს გამოძიების ცენტრალურ ბიუროს, იუწყება, რომ დადგინდა დამნაშავის ვინაობა. იგი აღმოჩნდა 26 წლის სანდიერი (პენჯაბის შტატი) კარამჯით სინგჩი.

ინდოეთის დედაქალაქში კვლავ უშიშროების გაძლიერებულ ღონისძიებებს ახორციელებენ, მაგრამ ქალაქში სიმშვიდეა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბუტა სინგჩმა განაცხადა გააძლიერონ ინდოეთის პრემიერ მინისტრისა და პრეზიდენტის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეების უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. საგაბურში (მაჰარაშტრის შტატი) გამოსვლისას რაჯივ განდიმ განაცხადა, რომ ეს ადამიანური ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და გამოთქვა იმედი, რომ მალე ვითარება ბინეკაბის შტატში ნორმალური გახდება.

● მოზამბიკი

ძირგამოთხრელი აქციები

მაპუტუ. როგორც მოზამბიკის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, იმიწმებს, რა კომპეტენტურ სამხედრო წყაროებს, ეგრეთ წოდებული „მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის" დიდი ბანდები მალავის ტერიტორიიდან მოზამბიკის ტეტესა და ზამბეზის პროვინციაში იპარებიან. ცდილობენ რა თავი დაადწიონ ბანდიტთა ტერორს, ამ რაიონებში მცხოვრები ათასობით მოზამბიკელი გლეხი იძულებულია გადაბარგდეს უსაფრთხო ადგილებში. როგორც ცნობილია, მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის ორგანიზაციას აფინანსებენ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები.

მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის ბანდების თავმოყრა მოზამბიკის სასაზღვრო რაიონებში, „ფრონტისპირა" სახელმწიფოთა პრესის აზრით, მოწმობს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი ემზადება გააფართოოს ძირგამომთხრელი აქციები დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ. პრეტორიის ხელისუფალნი ადგენენ მოზამბიკის ეკონომიკის დესტაბილიზაციის კურსს. მოზამბიკის ტერიტორიაზე გზავნიან შეიარაღებულ ბანდებს.

ჩვენს ტელეეკრანებზე

ოსლოთვი

5 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — კინოჟურნალი „პიონერია". 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00— შეხვედრა მათემატიკის მასწავლებელ ვ. შატალოვთან (დონეცკი). 16.30 — მულტფილმი. 16.40 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 17.30 — სტუმრად ზღაპართან. 18.40 — „ორი პოზიციაზ", იურმალაში საბჭოთა და ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ. 19.40 — მღვერის ე. პიეხა. 20.25 — პირველად ცენტრალური ტელევიზიის ეკრანზე. „პოტაპოვის ცხოვრებიდან". 22.00 — „ვრემია". 22.45 — სპორტული პროგრამა. საფეხბურთო მიმოხილვა. 23.15 — ფრენბურთი. 23.55 — საესტრადო გადაცემა (გდრ).

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „ფრიალოზე". III სერია. 10.20 — დედის სკოლა 10.50 — კონცერტი. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 11.30 — რუსული მეტყველება. 12.00 — დოკუმენტური ფილმი. „სკოლა: ცვლილებათა ხანა". 13.00 — უკრავს მევიოლინე ანდრია კორსაკოვი. 13.15 — მოსწავლეთა შეხვედრა დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან. 13.45 — ცხოველთა სამყაროში. 14.45 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 15.15 — „საქმეს იძიებენ „ზნაკოკები". 17.45 — მღერის პეტერ შრაიერი (გდრ). 18.05 — ფრენბურთი. 18.50 — ს. ტანეევი. № 4 სიმფონია დო მინორი, გუნდები. 19.45 — მულტფილმი. 20.00 — ფეხბურთი. „დნეპრი"— „ზენიტი". მე-2 ტაიმი. 20.45 — „ძალი ნებისა, პატარებო!" 21.00 — ფეხბურთი. კიევის „დინამო" — თბილისის „დინამო". მე-2 ტაიმი. 22.00 — „ვრემია". 22.45 მხატვრული ფილმი „ახალგაზრდები".

ოჭილილი

5 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.10 — დილის გასართობი პროგრამა. 10.50 — კონცერტი ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. 11.30 — „იაკობ გოგებაშვილი". 11.55 — „გილოცავთ, მასწავლებელო!". 12.00 — „იქ, სადაც საჭირო ვარ" (ბარისახოს სკოლა-ინტერნატის ახალგაზრდა პედაგოგები). 12.30 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო ფილმ-კონცერტი „მარ თ ვ ე". 13.05 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა. მხატვრული ფილმი „კვალდაკვალ". 14.40 — „გილოცავთ, მასწავლებელო!" 14.45 — მოსწავლეთათვის. „2000 მეტრის სიმაღლეზე". 15.15 — „ჩვენი წარსულის იდგა დარაჯად"... (ვარძიის 800 წლისთავის გამო). 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — „გილოცავთ მასწავლებელო!". 15.50 — „სამხრეთ საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.35 — „მასწავლებელი — „შუქი სულისა". 17.40 — ჩვენი ბაღი. 18.05 — გილოცავთ, მასწავლებელო! 18.10 — საოპერო თეატრის აფიშასთან. 18.50 — ვინ იყო სიმონ სხირტლაძე ანუ ძალა სიტყვისა. 20.00 — მოამბე. 20.40 — ქართული მულტიპლიკაციური კინო-50. ნახატი ფილმი „ო, მოდა, მოდა"... 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: კიევის „დინამო" — თბილისის „დინამო. მეორე ტაიმის ტრანსლაცია კიევიდან. 21.45 — დოკუმენტური ფილმი. 22.00 — „ვრემია". 22.45 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 23.15 — მხატვრული პროგრამა — „ფილმი, მსახიობი, როლი".

თეატრი

5 ოქტომბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გელის ტბა** (დღისით, საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის ბალეტის სოლისტის ალა ხანიაშვილისა და ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის სოლისტების ბორის ბლანკოვის გასტროლები), **ქეთო და კოტე** (სალამოს, მე-12 აბონ. მე-3 წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **გასალები**; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მაია წყნეთელი** (დღისით და საღამოს); **მეტეხის** — **პარტახი** — **უბედურება**; **მოზარდ მაყურებელთა ქართული „სალამურა** (ბრემიერა, აბონ. № 32, 7 ს.); **ფილარმონია** — **როკ-ჯგუფი „სმოკინგსი"** (გდრ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲝ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

**ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ